სახ. სახ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 35 (20076) ხუთშაბათი, 11 თებერვალი, 1988 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მორიგ სხდომაზე განიხილა გაზეთ „პრავდაში" გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში „თაგვმა თხარა, თხარაო..." აღნიშნული ფაქტებისა და თბილისსა და საერთოდ რესპუბლიკაში საბინაო კანონმდებლობის დაცვის მასობრივი შემოწმების შედეგების საკითხი.

რესპუბლიკასა და მის დედაქალაქში საბინაო ფონდის დაცვის, განაწილებისა და გამოყენების მდგომარეობის მასობრივმა შემოწმებამ, რომელიც გაზეთ „პრავდის" პუბლიკაციასთან დაკავშირებით მოეწყო, ცხადყო, რომ ყველა პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანომ, სამინისტრომ და უწყებამ როდი გამოიტანა სათანადო დასკვნები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის არაერთგზისი მითითებიდან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1987 წლის ივლისის სესიაზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებიდან, რის გამოც ქალაქთმშენებლობის ნორმების დაცვასთან, საბინაო მშენებლობის, ბინების განაწილებაში საჯაროობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების განვითარებასთან დაკავშირებული მდგომარეობა კვლავ არასახარბიელოა.

ცენტრალური კომიტეტის ბიურომ საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების, მაკონტროლებელი და სამართალდამცავი ორგანოების ყურადღება მიაპყრო საბინაო კანონმდებლობის უმკაცრესად დაცვის, ბინების განაწილებაში საჯაროობისა და სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფის საჭიროებას.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ო. ანდრიაძე, მისი პირველი მოადგილე მ. ნ. მღებრიშვილი და მოადგილე ზ. ა. კახნიაშვილი გაფრთხილებული არიან, რომ პირადად აგებენ პასუხს ქალაქთმშენებლობის, საბინაო ფონდის დაცვის, განაწილებისა და გამოყენების საკითხთა გადაწყვეტაში სათანადო წესრიგის დამყარებისათვის.

თავიანთი საბინაო საკითხების გადაწყვეტის დროს გამოვლენილი მოურიდებლობის, კომუნისტი ხელმძღვანელების შეუფერებელი მოქმედებისათვის სსრ კავშირის სახსტანდარტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს უფროსს, სკკპ წევრს დ. ლ. ქართველიშვილსა და საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს, სკკპ წევრს გ. ვ. ნანეიშვილს გამოეცხადათ საყვედურები სააღრიცხვო ბარათში შეტანით.

საქართველოს სსრ პროკურორს ვ. ა. რაზმაძეს დაევალა ორი თვის ვადაში შეისწავლოს პავლოვის ქუჩის № 29 სახლის რეკონსტრუქციის ზონაში მოქალაქეთა ჩაწერის, ბინების გაცვლისა და ჩასახლების კანონიერება.

არსებული დარღვევებისათვის საბურთალოს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის დ. ა. ჯაფარიძის, ქალაქ თბილისის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის, ორჯონიკიძის რაიაღმასკომის ყოფილი თავმჯდომარის მ. დ. ავალიანისა და სხვათა პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება პროკურატურისათვის დავალებული გამოძიების დამთავრების შემდეგ.

განიხილეს რესპუბლიკის სტიქიური უბედურების რაიონებიდან გადმოსახლებულთათვის საცხოვრებელი დაბების მშენებლობის გეგმების შესასრულებლად მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების, პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაობის საკითხი. ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ამ მიმართულებით 1987 წელს გაწეული მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ცნო. დაისახა გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის პრაქტიკული ღონისძიებანი.

მიღებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილება საქართველოს სს რესპუბლიკაში საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების დამხმარე სასოფლო მეურნეობების შემდგომი განვითარების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მოიწონა გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქციისა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ინიციატივა რესპუბლიკის ზარალიანი და დაბალრენტაბელური საწარმოების, ორგანიზაციებისა და გაერთიანებების ერთობლივი დათვალიერების მოწყობის შესახებ. ამ საკითხზე მიღებული დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდება.

მოიწონეს აგრეთვე ქალაქის სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებისა და იერის გაუმჯობესებისათვის ქალაქ წყალტუბოს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობა. პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს დაევალათ ფართოდ გამოიყენონ წყალტუბოელთა გამოცდილება, სისტემატურად განიხილონ ქალაქებისა და რაიონული ცენტრების იერის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობა, მოაწყონ ქმედითი კონტროლი გენერალური გეგმებისა და დეტალური დაგეგმარების პროექტების ზუსტი შესაბამისობით მშენებლობის დაგეგმვის უზრუნველყოფისადმი.

განიხილეს საკითხი, თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი გარდაქმნის მოთხოვნების მიხედვით სახალხო მეურნეობაში სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების, წამატებებისა და თვალისახვევის ფაქტების აღმოფხვრის შესახებ. აღინიშნა, რომ მიღებული კომპლექსური ზომების შედეგად დაისახა იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა რიცხვის შემცირების ტენდენცია, სადაც ვლინდება საანგარიშგებო მონაცემების დამახინჯებისა და სახელმწიფოს მოტყუების ფაქტები. ამავე დროს ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ ყოვლად შეუწყნარებლად ცნო, როცა გარდაქმნისა და მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე გადასვლის პირობებში ჯერ კიდევ არ არის მიღწეული ძირეული გაუმჯობესება წამატებებისა და თვალისახვევის ლიკვიდაციის საქმეში. ეს ანტისაზოგადოებრივი მოვლენები იმან გამოიწვია, რომ ზოგიერთი სამინისტროს, უწყების, საწარმოსა და ორგანიზაციის ხელმძღვანელებს არ გარდაუქმნიათ თავიანთი საქმიანობა მათთან ბრძოლაში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების კომპლექსური სისტემის დანერგვისათვის, ზოგჯერ იჩენენ სრულ უპასუხისმგებლობას ამ საქმეში, აგრეთვე არ არის პარტიული და საბჭოთა ორგანოების სათანადო მომთხოვნელობა და კონტროლი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ განიხილა მრეწველობის მიერ 1987 წელს პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების შედეგებისა და სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებისათვის რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ამოცანების საკითხი. რესპუბლიკის მრეწველობის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისათვის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ცნეს. მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების ხელმძღვანელები და პარტიულ ორგანიზაციათა მდივნები გააფრთხილეს, რომ საჭიროა მიაღწიონ გადამწყვეტ გარდატეხას სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებასა და დაშვებული ჩამორჩენის აღმოფხვრაში.

ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებსა და უწყებებს დაავალა შეიმუშაონ და სრულყონ მართვის სისტემა, მიაღწიონ სადირექტივო ორგანოების მოთხოვნათა შესრულებას, მკაცრად დაიცვან პროდუქციისა და საქონლის მომხმარებლის პრიორიტეტი, რომელიც გარანტირებულია სსრ კავშირის კანონით სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ, არ დაუშვან შეუკვეთავი პროდუქციის გამოშვება სახელშეკრულებო ვალდებულებათა საზიანოდ, აგრეთვე უწესრიგობისა და კუთხურობის, ფინანსური დისციპლინის დარღვევების ფაქტები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და სამდივნოს სხდომებზე განიხილეს აგრეთვე რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ზოგიერთი სხვა აქტუალური საკითხი.

მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ლოტარ შპეტს

9 თებერვალს კრემლში მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ბადენ-ვიურტემბერგის მხარის პრემიერ-მინისტრს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის პარტიის თავმჯდომარის მოადგილეს ლ. შპეტს. გაიმართა საფუძვლიანი საუბარი, უწინარეს ყოვლისა, მსოფლიო განვითარებაში სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ადგილის, ევროპულ და საერთაშორისო პოლიტიკაში მათი ურთიერთობის როლის შესახებ.

შეხვედრის დროს.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

მ. ს. გორბაჩოვმა დაიწყო იმით, რომ საჭიროა გვახსოვდეს ის, რაც ჩვენს ხალხებს შორის იყო, რათა გამოგვქონდეს გაკვეთილები და მომავალს გავცქეროდეთ. მით უმეტეს, რომ ახლა უკვე შესამჩნევია: მტრობის, უცხოობის პერიოდი სულ უფრო რჩება უკან. თანდათანობით ღორძინდება ჩვენი ხალხებისა და მათი კულტურების საუკუნოვანი კავშირი.

ლ. შპეტის ვიზიტი მოქცეულია ორივე სახელმწიფოს ხელმძღვანელი მოღვაწეების, საზოგადოებრიობის, მშრომელების დიალოგის კონტექსტში, დიალოგისა, რომელიც ძალას იკრებს. ამ დიალოგის დროს ყალიბდება ორი ქვეყნის ურთიერთობის პოლიტიკური მნიშვნელობის გაგება. გერმანელ ხალხს, თქვა შემდეგ მ. ს. გორბაჩოვმა, პირდაპირობა ახასიათებს. ამიტომ მით უფრო შესამჩნევია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ორჭოფობა და მერყეობა თანამშრომლობის გაღრმავების თაობაზე გამოთქმული ჩვენი წინადადებების პასუხად.

დასკვნა იმის შესახებ, რომ ჩვენი ურთიერთობა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან სხვანაირი უნდა იყოს, გამოვიტანეთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თანამედროვე როლის სერიოზული გააზრების შედეგად, ახლებური აზროვნების სულისკვეთებით, რომელსაც ემყარება მთელი ჩვენი ევროპული და საერთაშორისო პოლიტიკა.

საერთაშორისო ურთიერთობის ძირეულად შეცვლა, მისი განთავისუფლება უშიშროების შესახებ სამხედრო-სტრატეგიული წარმოდგენებისაგან შეუძლებელია ევროპის დამოუკიდებელი წვლილის გარეშე. მას აქვს ყველაზე დიდი ისტორიული გამოცდილება, იგი ფლობს უდიდეს ეკონომიკურ და ინტელექტუალურ პოტენციალს. მაგრამ, თავის მხრივ, ევროპის ასეთი როლი წარმოუდგენელია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირთან მისი ურთიერთობის გაუმჯობესების გარეშე.

ბუნებრივია, ეს ჩვენი ანალიზი ეფუძნება ყველა რეალობის, მათ შორის სოციალური სისტემების განსხვავების, სამხედრო-პოლიტიკური კავშირების, ეკონომიკური გაერთიანებების, სახელმწიფოთა ორმხრივი ვალდებულებებისა და ა. შ. გათვალისწინებას. ჩვენ ძალზე გულისხმიერნი ვართ ევროპის მიმართ და არავის არ ვუპირებთ რთულ მდგომარეობაში ჩაყენებას, გვინდა, რომ ჩვენი პოლიტიკა ყველასა და თითოეულისათვის გასაგები და ნათელი იყოს.

ვითვალისწინებთ იმასაც, რომ დასავლეთ ევროპა ჯერ მზად არ არის გაგვიგოს, აღგვიქვას ისეთებად, როგორებიც სინამდვილეში ვართ. იქ კვლავინდებურად ეშინიათ საბჭოთა კავშირისა. ამან ღრმად გაიდგა ფესვი. ეს თავს იჩენს ევროპისათვის საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების შესახებ ხელშეკრულების შედეგების შეფასების დროსაც, მეტადრე, იმათ მხრივ, ვინც ჯიუტად ებღაუჭება მოწინააღმდეგე სისტემის სახელმწიფოებთან ურთიერთობაში „ბირთვული შეკავების" კონცეფციას. ამას განაპირობებს ცნობილი ინტერესები, რომლებიც ჯერჯერობით სჯაბნიან იმის შეგნებას, რომ ასეთი მიდგომა ბოლოს და ბოლოს დამღუპველია.

იმის ცდებს, რომ „კომპენსაციის" მეშვეობით ჩაშალონ საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ ხელშეკრულება, შეიძლება ძალიან დიდი პოლიტიკური შეცდომა მოჰყვეს. ამასთან დაკავშირებით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის — უბირთვო სახელმწიფოს — რეალისტურ, აქტიურ პოზიციას შეუძლია პოზიტიური, მასტაბილიზებელი როლი შეასრულოს. ეს ხელსაყრელია არა მარტო მისთვის, არამედ მთელი ევროპის, მთელი მსოფლიოსთვისაც.

დარწმუნებული ვართ, რომ დასავლეთის მიერ საბჭოთა კავშირის აღქმაში იქნება ცვლილებები. ამ მიმართულებით მოქმედებენ ობიექტური პროცესებიც. ჩვენ კი ვეცდებით ისე ვიმოქმედოთ, რომ დავარწმუნოთ მთავრობებიც და ხალხებიც, რომ ჩვენი მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა სერიოზული, პრინციპულია, ორიენტირებულია ღრმა პერსპექტივაზე და ემყარება ინტერესების ბალანსის პრინციპებს, თანამედროვე მსოფლიოში ყველას ურთიერთდამოკიდებულების გაგებას.

თანამოსაუბრეებმა აღნიშნეს, რომ უახლოვდება ან ემთხვევა მათი შეხედულებანი განიარაღების მთელ რიგ ისეთ უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე, როგორიცაა საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაცია, სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირება, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების დაცვა, ქიმიური იარაღის აკრძალვა, ჩვეულებრივი იარაღისა და შეიარაღებული ძალების შემცირება. ამასთან დაკავშირებით, ხაზგასმით აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, ორივე ქვეყნისა და მთელი ევროპის ინტერესებისათვის რაც შეიძლება მალე უნდა გადაწყდეს საკითხი ვენის კონფერენციაზე მანდატის შესახებ და დაიწყოს მოლაპარაკების პროცესი. მაშინ შენელდება წუხილიც. ამის სანაცვლოდ კი ვხედავთ, როგორ ამწვავებენ შიშს, თითქოს სსრ კავშირს ბირთვული იარაღის შემცირების პირობებში სურს ვიღაცას ტორი დაადოს და ა. შ.

თანამოსაუბრეებს შორის სრული თანხმობა გამოვლინდა ჩვენს დროში საერთაშორისო ეკონომიკური კავშირურთიერთობის პრინციპული მნიშვნელობის შეფასებაში. და ამ თვალსაზრისით ასევე აღინიშნა, რომ შეუცვლელია ევროპის ორიგინალური წვლილი. მაგრამ ამას შეიძლება ხელი შეუშალოს, დაამახინჯოს მისი არსი მილიტარისტულმა აქცენტმა ინტეგრაციის პროცესებში.

მ. ს. გორბაჩოვი მიესალმა ლ. შპეტის რეალისტურ, საქმიან მიდგომას ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებისადმი — დიდი გაქანების ურთიერთობისა, რომელიც ორიენტირებულია თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკურ დონეზე, ახალი, არაორდინარული ფორმების გამოყენებაზე, ჩვენ ქვეყნებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის ტრადიციების აღდგენაზე.

დასავლეთ გერმანიის საქმიანი ადამიანები სულ უფრო ხვდებიან, თუ რა დიდი რეზერვებია საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განვითარებაში, რომელიც დაადგა ღრმა ეკონომიკური გარდაქმნების ეტაპს, და გამოაქვთ დასკვნები. და თუმცა არ შეიძლება პოლიტიკის მნიშვნელობის დაკნინება, რომელსაც, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, შეუძლია ყველაფერი გააფუჭოს, გრძელვადიანი ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის მყარი სტრუქტურის შექმნას, უეჭველია, შეუქცევადობის ელემენტები შეაქვს ორი ქვეყნის ურთიერთობაში, რომ აღარაფერი ვთქვათ უშუალო ურთიერთსარგებლიანობაზე. მ. ს. გორბაჩოვმა დიდად შეაფასა პრაქტიკული იდეები და წინადადებები, რომლებითაც ლ. შპეტი ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში და რომლებითაც იგი და მისი თანხლები საქმიანი სამყაროს წარმომადგენლები აპირებენ საფუძვლიანად იმუშაონ საბჭოთა კოლეგებთან.

თუკი მართლაც არჩევანს ახდენენ თანამშრომლობისა და თვით დაახლოების სასარგებლოდ, მაშინ დიდი მნიშვნელობა აქვს სათუთ დამოკიდებულებას პოზიტიური პროცესებისადმი, რომლებიც ისახება. უნდა გავითვალისწინოთ, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, რომ ჩვენს საზოგადოებაშიც და თქვენ საზოგადოებაშიც ძალიან მგრძნობიარედ აღიქვამენ ყველაფერს, რაც ეხება ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების არცთუ უბრალო ურთიერთობას. ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს.

საუბრის შედეგად და უკანასკნელ ხანს გაშლილი საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის დიალოგის სიღრმის, შინაარსის, გულახდილობის გათვალისწინებით თანამოსაუბრეებმა აღნიშნეს, რომ ბევრი ნიშნის მიხედვით სსრ კავშირ-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის ახალ დონეზე გასვლა დაიწყო. ჩვენ საკუთარი არჩევანი მოვახდინეთ, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, და თუ ასეთივეა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელმძღვანელობის პოზიცია, დადგა დრო დავიწყოთ საფუძვლიანი მომზადება, რათა განვამტკიცოთ ერთობლივი გადაწყვეტილება და გავაფორმოთ იგი დოკუმენტურად უმაღლესი დონის მომავალ შეხვედრაზე.

ლ. შპეტი მიესალმა მ. ს. გორბაჩოვს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის ჰ. კოლის სახელით.

მ. ს. გორბაჩოვმა სტუმარს სთხოვა კანცლერს ყოველივე საუკეთესო უსურვოს მისი სახელით.

საუბარში მონაწილეობდნენ ვ. მ. კამენცევი და ელჩი ა. მაიერ-ლანდრუტი.

საუბრის წინ სტუმრებმა წარმოადგინეს ნასწავლი რობოტი, რომელიც შექმნილია ბადენ-ვიურტემბერგის ფირმებთან საბჭოთა საწარმოების თანამშრომლობის საფუძველზე.

(საკდესი).

უბირთვულიარაღო მსოფლიოსაკენ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების საგარეო საქმეთა კომისიების გაერთიანებული სხდომა

9 თებერვალს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების გაერთიანებული სხდომა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილების შესაბამისად, კომისიებმა დაიწყეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეკრულების წინასწარი განხილვა.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. კ. ლიგაჩოვი — კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე; სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ე. ა. შევარდნაძე — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი; სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი — ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის წევრი; სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი პ. ნ. დემიჩევი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე; სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი დ. ტ. იაზოვი — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი; სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. თ. დობრინინი — ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე; სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ა. ე. ვოსი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი.

სხდომას უძღვებოდა ი. კ. ლიგაჩოვი. შესავალ სიტყვაში მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მისი კომისიების მთელი მრავალი წლის საქმიანობის მანძილზე დეპუტატები პირველად იხილავენ საერთაშორისო ხელშეკრულებას რეალური ბირთვული განიარაღების საკითხზე. ალბათ, ყველა საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ამგვარი რამ მსოფლიო პრაქტიკაში ჯერ არა ყოფილა. კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების განსახილველად გამოტანილია განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხი: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა კომისიებს დაავალა განიხილონ და წარმოადგინონ თავიანთი დასკვნა საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეკრულების გამო, რომელსაც ხელი მოაწერეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. რეიგანმა ვაშინგტონში 1987 წლის დეკემბერში.

ვიწყებთ რა ჩვენი პასუხსაგები მოვალეობის შესრულებას, სიამაყეს ვგრძნობთ ჩვენი დიადი სამშობლოსათვის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკისათვის. ამასთან ერთად ვგრძნობთ დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც გვაკისრია, ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობას ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისათვის, საერთაშორისო უშიშროებისათვის. ამ დოკუმენტის შემუშავება და ხელმოწერა იყო უწინარეს ყოვლისა საბჭოთა ხელმძღვანელობის მტკიცე ინიციატივიანი მეცადინეობის შედეგი, რომელსაც მხარი დაუჭირეს მოძმე სოციალისტურმა ქვეყნებმა. მაგრამ უნდა აღინიშნოს სხვა რამეც. ხელშეკრულება არ იქნებოდა, თუ შემხვედრ ნაბიჯებს არ გადადგამდა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია, აგრეთვე თუ მხარს არ დაგვიჭერდნენ სხვა ქვეყნების რეალისტურად მოაზროვნე პოლიტიკოსები და პროგრესული მსოფლიო საზოგადოებრიობა.

საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერა, არსებითად რომ ითქვას, პრაქტიკული ნაბიჯია საერთაშორისო ურთიერთობის გარდაქმნისაკენ — კონფრონტაციიდან აქტიური მშვიდობიანი თანაარსებობისაკენ, აქტიური საერთაშორისო თანამშრომლობისაკენ.

თუ დავსვამთ კითხვას, ჩვენთვის, დეპუტატებისათვის, რა შეიძლება იყოს ორიენტირი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულების შეფასებაში, ვფიქრობ ყველაზე მოკლედ შეიძლება გავცეთ შემდეგი პასუხი: თანაბარი, ერთნაირი უშიშროება საბჭოთა კავშირისთვისაც და ამერიკის შეერთებული შტატებისთვისაც. საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულების შეფასების დროს უწინარეს ყოვლისა უნდა გავითვალისწინოთ ის, თუ როგორ აღიქვა იგი საბჭოთა ხალხმა, რომელსაც მუდამ ახასიათებდა მშვიდობისმოყვარეობა, მისწრაფება ყველა სახელმწიფოსთან და ყველა ხალხთან კეთილი ურთიერთობისადმი. ამის ბრწყინვალე დადასტურებაა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადება ავღანეთის შესახებ.

მინდა გაცნობოთ, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, ბევრ უწყებაში, აგრეთვე გაზეთების რედაქციებში, ტელევიზიასა და რადიოში მოდის უამრავი წერილი, რომლებშიც საბჭოთა მოქალაქენი იწონებენ და მხარს უჭერენ ამ დოკუმენტის ისტორიულ მიზნებსა და არსს. ამავე დროს, და ამას მინდა ხაზი გავუსვა, საბჭოთა ადამიანები სვამენ ბევრ კითხვასაც. მათ სურთ უფრო საფუძვლიანად გაერკვნენ, თუ რას გვაძლევს ჩვენ და მთელ მსოფლიოს ხელშეკრულება, რა გავლენას მოახდენს იგი საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობაზე. საბჭოთა ადამიანებს აინტერესებთ ისიც, მოიწონებს თუ არა ხელშეკრულებას ამერიკის შეერთებული შტატების სენატი, არის თუ არა გარანტიები, რომ ამერიკის შეერთებული შტატები პატიოსნად და თანამიმდევრულად შეასრულებს მას. არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ეს კითხვები შემთხვევითი არ არის. ვხედავთ, კერძოდ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სენატში ხელშეკრულების განხილვის დროს იმ მისწრაფებასთან ერთად, რომ სერიოზულად გაერკვნენ მის არსში, არის ბევრი ცდაც, როგორც იტყვიან, გააბიაბრუონ ხელშეკრულება, ჩაშალონ მისი რატიფიკაცია

დასავლეთში, მათ შორის მაღალი რანგის სახელმწიფო მოღვაწეთა შორისაც, მრავლად არიან ისეთებიც, რომლებსაც სურთ დაამტკიცონ, რაც უნდა უცნაურადაც მოგვეჩვენოს ეს, რომ სწორედ ბირთვული იარაღია „მშვიდობის მხსნელი", რადგან იგი, მათი აზრით, ლამის საუკეთესო საშუალება იყოს ომის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, რომ თითქოს სწორედ მისი წყალობით მოხერხდა ორმოც წელზე მეტ ხანს გვეცხოვრა ახალი მსოფლიო ომის გარეშე. ეყრდნობიან რა ასეთ, უკაცრავული პასუხია, პოსტულატებს, ზოგ-ზოგები ცდილობენ საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ ხელშეკრულების დადებაც გამოიყენონ საბაბად ამერიკის შეერთებული შტატებისა და მთლიანად ნატოს ბირთვულ საშუალებათა არსენალების შემდგომი ზრდისათვის, როგორც ისინი ამბობენ „კომპენსაციის" წესით, მოდერნიზაციის წესით. ყოველივე ამან, რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ დაგვაფიქროს — ხომ არ განუზრახავთ აქ „შემოვლითი მანევრი", რომლის მიზანია ხელშეკრულების ჩაშლა.

ამერიკის ადმინისტრაცია ცდილობს გვერდი აუაროს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულებას, შექმნას დამკვრელი კოსმოსური შეიარაღება. საბჭოთა კავშირის პოზიცია, რომელიც მას უკავია ეგრეთ წოდებულ სტრატეგიულ თავდაცვით ინიციატივასთან დაკავშირებით, საყოველთაოდ არის ცნობილი. ეს პოზიცია კვლავ უწინდებურია. სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების 50 პროცენტით შემცირება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მკაცრად იქნება დაცული ხელშეკრულება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შესახებ. ჩვენი მხრივ, ვხელმძღვანელობთ იმით, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულება, ორივე მხარის მიერ მისი რატიფიკაციის შემდეგ, არა მარტო უმკაცრესად უნდა დავიცვათ, არამედ სათავე დავუდოთ განიარაღების პროცესს ყველა აზიმუტით. კერძოდ, მას შეუძლია გზა გაუკვალოს და კიდეც უნდა გაუკვალოს ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების 50 პროცენტით შემცირებას, ბირთვული გამოცდის შეწყვეტას, ტაქტიკური ბირთვული და ჩვეულებრივი იარაღისა და შეიარაღებული ძალების შეკვეცას, ქიმიური იარაღის აკრძალვას. ამასთან ვიმედოვნებთ, რომ ხელშეკრულების დადებასა და რეალიზაციას თან სდევს საერთაშორისო ეკონომიკური, მეცნიერული და კულტურული ურთიერთობის გაფართოება-გაღრმავება და საერთოდ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესება. უეჭველია, ამით მოგებული დარჩება მსოფლიოს ყველა ხალხი.

მაგრამ იმედი ნუ გვექნება, რომ ახლა განიარაღების საქმე თავისთავად წარიმართება. შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპაში არიან მძლავრი ძალები, რომლებიც თავგამოდებით მოითხოვენ ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მილიტარიზაციას. აქაც საჭიროა ორივე მხარის, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ძალისხმევა, ყველა ქვეყნის პარლამენტარების, მთელი მსოფლიოს მშვიდობიანი ძალების ძალისხმევა. ჩვენი ამოცანა ის არის, რომ გავაანალიზოთ ხელშეკრულების შინაარსი და ავწონ-დავწონოთ მისი რეალიზაციის შედეგები. ამიტომ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელების, მრავალი სხვა უწყების ექსპერტთა აზრთან ერთად ჩვენ გვაინტერესებს, თუ რა შეფასებას მისცემენ სპეციალისტები, მეცნიერები ხელშეკრულების რეალიზაციის შედეგებს საგარეო-პოლიტიკურ, სამხედრო, საფინანსო-ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სხვა დარგებში. ამ მიზნით საგარეო საქმეთა კომისიების ჩვენს გაერთიანებულ სხდომაში მონაწილეობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ორივე პალატის სხვა კომისიათა შემადგენლობაში შემავალი დეპუტატების დიდი ჯგუფი. ბუნებრივია, ჩვენ მთელი პასუხისმგებლობით, მთელი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა აზრს.

ამიტომ კომისიები საბოლოო ანგარიშით ჩამოაყალიბებენ თავიანთ დასკვნას და წარუდგენენ მას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

მინდა გაუწყოთ აგრეთვე, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა გარდა აქ არიან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, სხვა დაინტერესებული უწყებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე პრესის, ტელევიზიისა და რადიოს მუშაკები. კომისიების სხდომაში ჩვენი მოწვევით მონაწილეობენ აგრეთვე მოძმე ქვეყნების — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენლები.

სხდომის შესახებ ვაცნობეთ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, ბელგიის, იტალიის, ნიდერლანდისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ანუ იმ სახელმწიფოების საელჩოებს, რომლებსაც უშუალოდ ეხებათ საბჭოთა და ამერიკული რაკეტების ლიკვიდაცია. ვგულისხმობდა, რომ მათ სურვილისამებრ შეეძლოთ დღევანდელ მოსმენაზე გამოეგზავნათ თავიანთი წარმომადგენლები. ასეთი წარმომადგენლები, რამდენადაც ვიცი, ამ დარბაზში არიან.

ჩვენს სხდომაზე თავიანთი წარმომადგენლების გამოგზავნის ანალოგიური შესაძლებლობა მიეცათ ყველა სხვა ქვეყნის საელჩოებს, რომელთაც ასეთი თხოვნით მიმართეს უმაღლეს საბჭოს. დარბაზში არის აგრეთვე უცხოელ ჟურნალისტთა მოზრდილი ჯგუფი.

შემდეგ ი. კ. ლიგაჩოვი სიტყვას აძლევს **ე. ა. შევარდნაძეს.**

მთავრობამ განსახილველად წარმოგიდგინათ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეკრულება საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ. რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. რეიგანმა 1987 წლის 8 დეკემბერს ვაშინგტონში მოაწერეს ხელი.

პირველად ბირთვული ათწლეულების ისტორიაში, ჰიროსიმის ტრაგიკული დაფერფვლით რომ მოევლინენ კაცობრიობას, ორმა დიდმა სახელმწიფომ მოილაპარაკა ზოგიერთი თანამედროვე სახეობის იარაღის რეალური შემცირების შესახებ, ლიკვიდაციას ექვემდებარება ბირთვული საბრძოლო ქობინებით აღჭურვილი ორ-ნახევარ ათასზე მეტი რაკეტა. საბჭოთა კავშირმა 1.752 საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტა უნდა მოსპოს. შეერთებულმა შტატებმა — 859 ასეთი რაკეტა, ამრიგად, სსრ კავშირსა და შეერთებულ შტატებს აღარ ექნებათ მიწისზედა ბაზირების ბირთვული რაკეტები 500-დან 5.500 კილომეტრამდე სიშორის დიაპაზონში.

ხელშეკრულების შემუშავებამ რამდენიმე წლის დაძაბული შრომა მოითხოვა, რომელშიც ორივე მხრიდან მონაწილეობდნენ დიპლომატები, სამხედროები, ტექნიკური ექსპერტები, მეცნიერები, პოლიტიკური მოღვაწეები, მინისტრები, ჩვენი ქვეყნების უმაღლესი ხელმძღვანელები.

მორიგების მიღწევის გადამწყვეტწილად უზრუნველმყოფელ საეტაპო მნიშვნელობის მოვლენებად იქცა საბჭოთა კავშირ-ამერიკის სამი უმაღლესი დონის შეხვედრა, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ მოეწყო ჟენევაში, რეიკიავიკსა და ვაშინგტონში.

მოლაპარაკებისადმი საბჭოთა კავშირის მიდგომის შესამუშავებლად ფუძემდებელი მნიშვნელობა ჰქონდა მ. ს. გორბაჩოვის მიერ 1986 წლის 15 იანვარს წამოყენებულ ბირთვული განიარაღების პროგრამას.

როცა წარმოიქმნებოდა თითქოსდა გადაულახავი სიძნელეები, შემოქმედებითი აზრი განაგრძობდა გადაწყვეტათა ყველაზე უფრო მიზანშეწონილი ვარიანტების ძიებას. მ. ს. გორბაჩოვის 1987 წლის 28 თებერვლის განცხადება, მისი გამოსვლა 10 აპრილს პრაღაში, ინდონეზიის გაზეთ „მერდეკასათვის" იმავე წლის 21 ივლისს მიცემული ინტერვიუ გონივრული აწონ-დაწონის, მოქნილობის, იმ უნარის მკაფიო მაგალითებია, რომ გათვალისწინებულ იქნეს ყველა ფაქტორი საბჭოთა კავშირის, მისი მოკავშირეების, აგრეთვე სხვა ქვეყნების, მათ შორის მოლაპარაკებაზე ჩვენი პარტნიორების ინტერესების შესაბამისი გადაწყვეტილებების გამონახვაში.

რაც შეეხება ჩვენი პოზიციების შემუშავებას, საამისოდ ჩვენი პარტიის პოლიტბიუროს უშუალო ხელმძღვანელობით გულდასმით და ყოველმხრივ მუშაობდნენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სამინისტრო, უწყება, სკკპ ცენტრალური კომიტეტის შესაბამისი განყოფილებები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დიდმნიშვნელოვანი როლი, რომელიც ჩვენმა მოკავშირეებმა შეასრულეს — მათ არა მარტო მხარი დაუჭირეს ხელშეკრულების კონცეფციას, არამედ ხელიც შეუწყვეს მის რეალიზაციას რჩევით და კონკრეტული წინადადებებით. მორიგების მიღწევას ეხმარებოდნენ სხვა ქვეყნები, საზოგადოებრივი მოძრაობები. მ. ს. გორბაჩოვის სიტყვებს თუ გამოვიყენებთ, „მთლიანად დადებული ხელშეკრულება ყველა ხალხის ერთობლივი მეცადინეობის შედეგია... ეს ჩვენი საერთო გამარჯვებაა".

(დასასრული მე-2 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბირთვულიარაღო მსოფლიოსაკენ

(დასასრული)

განსახილველად შემოტანილი ხელშეკრულება წარმოადგენს პოლიტიკური და სამხედრო-ტექნიკური თვალსაზრისით გამოზომილ კომპრომისს, ინტერესების ბალანსს, უშიშროების ბალანსს. შექმნილ ვითარებაში ეს მაქსიმუმია იმისა, რის მიღწევაც რეალურად შეიძლებოდა.

და მაინც, საზოგადოებრივი აზრის, საბჭოთა ადამიანების განწყობილების ანალიზი, რის გათვალისწინებასაც სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო და სხვა უწყებები კვლავაც გაძლიერებულ ყურადღებას უნდა უთმობდნენ საგარეო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების დროს, გვიჩვენებს, რომ ხელშეკრულება ჩვენს ქვეყანაში ერთგვაროვნად არ აღუქვამთ.

ნება მიბოძეთ, უწინარეს ყოვლისა, ვთქვა, რომ საზოგადოებაში ხელშეკრულების გარშემო გაშლილ დისკუსიას უნდა მივესალმოთ. დაინტერესება მისადმი გადაწყვეტილებებით ავლენს რეალურ სახალხო ხელისუფლებას, ეს არის ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების ნიშან-თვისება, რომლებიც მოწმობენ ჩვენს საზოგადოებაში დემოკრატიზაციის პროცესისა და საჯაროობის ატმოსფეროს დამკვიდრებას. არსებითად, დადებული ხელშეკრულების სახალხო მიღება მიმდინარეობს.

ვითვალისწინებთ რა ჩვენი ხალხის შეკითხვებს და გვესმის ამასთან დაკავშირებით გამოვლენილი შეშფოთება, გვინდა დამატებით გავაშუქოთ ამ საერთაშორისო-სამართლებრივი აქტის, აგრეთვე დასავლეთში ხელშეკრულების მიმართ გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებების ზოგიერთი არსებითი ასპექტი.

პირველი. თანამედროვე ბირთვული იარაღის ორი კლასის ლიკვიდაცია უდავოდ უდიდესი მნიშვნელობის ნაბიჯია.

ჰიპოთეზურად თუ წარმოვიდგენთ, რომ შემცირებას დაქვემდებარებული 2,5 ათასი რაკეტა შეიძლებოდა მიზნებისაკენ გაეშვათ, მაშინ ბირთვული საუკუნის მთავარ კითხვაზე მივიღებდით ერთგვაროვან პასუხს — დედამიწის დაღუპული ცივილიზაციის მდუმარებას.

მეორე. ხელშეკრულება, როგორც ცნობილია, ითვალისწინებს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების რაკეტების სხვადასხვა რაოდენობით ლიკვიდაციას. საბჭოთა კავშირი — ციფრები უკვე მოყვანილი იყო — მოსპობს მეტ რაკეტას, ვიდრე შეერთებული შტატები. ზოგი შეშფოთებულია, ხომ არ მოწმობს ეს ფაქტი მხარეთა უთანასწორობას. არა, ეს ასე არ გახლავთ, ვინაიდან ელემენტარულ არითმეტიკას ყოველთვის არ ძალუძს სამხედრო ბალანსის, განსაკუთრებით მისი დინამიკის უტყუარი ასახვა. ჩვენ მართლაც მეტ რაკეტას გავანადგურებთ, მაგრამ ძალთა ნამდვილი თანაფარდობა შემცირების საბოლოო შედეგით გაიზომება. შედეგი კი გათვალისწინებულია ასეთი: აღნიშნული კლასის არც ერთი რაკეტა — ამერიკის შეერთებულ შტატებს და აღნიშნული კლასის არც ერთი რაკეტა — სსრ კავშირს. თანამიმდევრული შემცირების შედეგად ორივე მხარისათვის თანაბარი „ნულოვანი" დონეები დაწესდება.

მესამე. იძლევიან კითხვას, მეტს ხომ არ იგებს ნატო, ვიდრე ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნები, რადგან საბჭოთა კავშირი ისე დათანხმდა ხელშეკრულებას, რომ ჯერჯერობით განზე დატოვა ინგლისისა და საფრანგეთის ბირთვული პოტენციალები.

ასე ფიქრი სწორი არ იქნებოდა. შეიარაღების ახლანდელ დონეების პირობებში ჩვენთვისა და ამერიკელებისათვის შესაძლებელი აღმოჩნდა ისე მოგვეხდინა ერთობ დიდი შემცირება, რომ არ გვაშფოთებდეს ჩვენი და მოკავშირეების უშიშროება. სამხედრო უპირატესობას ამით არც ერთი მხარე არ იღებს.

მეოთხე. იძლევიან კითხვას: განა ასე ძალიან სჭირდებოდა საბჭოთა კავშირს აზიაში თავისი საშუალო სიშორის რაკეტების ლიკვიდაცია, როცა შეერთებულ შტატებს ისინი იქ არ ჰქონია?

პოლიტიკაში, ისევე როგორც სამხედრო სტრატეგიაში, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა წინასწარ გამოიცნო და თავიდან აიცილო მოვლენათა არახელსაყრელი განვითარება. ის, რომ აზიის ტერიტორიაზე დღეს არ არის ამერიკის საშუალო სიშორის რაკეტები, არ ნიშნავს, თითქოს არც ხვალ იქნებოდა. ახლა ხელშეკრულების წყალობით რაკეტები იქ არ იქნება.

მეხუთე. ხელშეკრულების ფურცლებზე ჯერ ხელმოწერები არ გამშრალა და ნატოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე მილიტარისტულ წრეებში უკვე დაიწყეს ლაპარაკი დასავლეთ ევროპაში „დაკარგული" ამერიკული რაკეტების კომპენსაციის საჭიროებაზე. არსებითად საქმე ეხება იმას, რომ დაიწყოს ახალი გამალებული ბირთვული შეიარაღება კონტინენტზე, რომ ევროპაში ან მის ახლოს განლაგდეს დამატებითი ბირთვული ძალები, დაჩქარდეს იარაღის მოდერნიზაცია.

მოვლენათა ასეთი განვითარება საწინააღმდეგო იქნებოდა ამჟამად მიმდინარე ტენდენციისა, რომელიც ბირთვული იარაღის შეკვეცასა და ბირთვული საშიშროების შემცირებას ითვალისწინებს.

მეექვსე. ზოგიერთი დასავლელი მოღვაწე ამტკიცებს, ბირთვული განიარაღების პროცესი ბირთვული იარაღით კი არა, ჩვეულებრივი იარაღით უნდა დაწყებულიყო.

ჩანაფიქრი მარტივია, — შეაკავონ და შეაჩერონ კიდეც ბირთვული განიარაღება.

საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს ჩვეულებრივი იარაღის პრობლემის გადაჭრას, მზად არის კონკრეტულად განიხილოს მოლაპარაკების მაგიდასთან ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებსა და შეიარაღებაში წარმოქმნილი ასიმეტრიები, დააზუსტოს, ვისა აქვს მარაგში რაღაც მეტი, ვის — ნაკლები, და დაიწყოს ორივე მხარის ცალკეულ სახეობათა იარაღის მიხედვით არსებული უპირატესობის რეალური შეკვეცა.

საერთოდ დაუშვებელია განიარაღების საქმეში პაუზები. ეს ძალზე მნიშვნელოვანი პირობაა. ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ შეუჩერებლად ვიაროთ წინ განიარაღების პრობლემატიკის ყველა მიმართულებით წინასწარი დაკავშირებებისა და პირობების გარეშე.

ნება მიბოძეთ ცალკე შევეხო **კონტროლის საკითხს.**

განახორციელა რა ბირთვული იარაღის შემცირების პრაქტიკული ღონისძიებები, საბჭოთა კავშირი ვერ დაუშვებს, რომ მეორე მხარე შეეცადოს მორიგების დარღვევას ან ნაკისრი ვალდებულებების ნაწილობრივ შესრულებას. როცა საქმე სახელმწიფოს უშიშროების ნერვულ კვანძებს ეხება, არ უნდა იყოს ორაზროვნება ხელშეკრულების შესრულების საკითხებში. ამიტომ ჩვენ განსაკუთრებით ვეცადეთ, რომ ხელშეკრულებისათვის დაგვერთო საგულდაგულოდ დამუშავებული, მაქსიმალურად საიმედო კონტროლის სისტემა, რომლის მსგავსიც საერთაშორისო ურთიერთობის პრაქტიკაში არ ყოფილა.

საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების შესახებ ხელშეკრულებას უპირველესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით.

ამ ხელშეკრულების დადებას არანაკლები მნიშვნელობა აქვს რეგიონალური პრობლემების გადასაჭრელად ხელსაყრელი ფონის შექმნის თვალსაზრისითაც.

ამის დასტურია მ. ს. გორბაჩოვის დამაჯერებელი, გულში ჩამწვდომი განცხადება ავღანეთის თაობაზე. იგი ავლენს ახალი დროის სულისკვეთებასაც, კეთილ ნებასაც და საგანთა ხედვის რეალიზმსაც.

ამავე მიმართულებისაა ავღანეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ნაჯიბულას განცხადება.

ხელშეკრულების რეალიზაცია კონკრეტულ წვლილს შემატებს აგრეთვე ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის პროცესს, რომელმაც საბჭოთა ხალხის ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა.

ხელშეკრულება უწინარეს ყოვლისა ნიშნავს, რომ რეალურია გამალებული შეიარაღების მოჯადოებული წრის გარღვევის გაძლიერებული იმედი. იგი უფრო ხელსაყრელ საგარეო ატმოსფეროს უქმნის საბჭოთა ადამიანების აღმშენებლობით შრომას.

ხელშეკრულება საშუალებას მოგვცემს გამოვათავისუფლოთ ადამიანთა გარკვეული რესურსები, აგრეთვე ტექნიკური და ფინანსური საშუალებები ახალი საწარმოო საქმიანობისათვის. სახსრები, რომლებიც საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების უზრუნველყოფას, მოდერნიზაციას, წარმოებასა და შეცვლას მოხმარდებოდა, ახლა დაიზოგება, ეს სახსრები ბევრად გადააჭარბებს ხარჯებს, რომლებიც ამ რაკეტების ლიკვიდაციას დასჭირდება.

ეს მოსაზრებებიც უნდა გვქონდეს მხედველობაში საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხის განხილვისას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარმოდგენილი ხელშეკრულება კარგი სტარტია ბირთვული შეიარაღების შემდგომი შემცირების გზაზე. საბჭოთა კავშირმა, შეერთებულმა შტატებმა, აღმოსავლეთისა და დასავლეთის გამყოფი პოლიტიკური ხაზის ორივე მხარეს მყოფმა მოკავშირე სახელმწიფოებმა, მთელმა საერთაშორისო გაერთიანებამ შეიძინეს მართლაცდა ფასდაუდებელი პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც ტემპის შეუნელებლად წინსვლის საშუალებას იძლევა.

დასასრულ მინდა ხაზი გავუსვა შემდეგს.

საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების შესახებ ხელშეკრულება სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა სახელმწიფოების ინტერესების დამთხვევის უბრალოდ სწორად და დროულად მიგნებული მომენტის პროდუქტი როდია. იგი მარტო საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის შეუპოვრობისა და დინამიკურობის შედეგი როდია.

ხელშეკრულება ხელშესახები გამოვლენაა ამჟამად მიმდინარე სიღრმისეული პროცესებისა კაცობრიობის მიერ თავისი ბედის უგარანტიობის აღქმაში. ეს არის დასავლეთში იმათი თვალის ახელის პირველი აქტი, ვინც ბირთვული აფეთქება ჰიროსიმის თავზე მიიჩნია მუქურვარსკვლავად, რომელსაც მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიკური მბრძანებლების პოზიციებზე უნდა გაეყვანა ისინი.

საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტური ქვეყნების, მთელი პროგრესული კაცობრიობის მეცადინეობით ამ იმედს ბოლო მოეღო.

ხელშეკრულება, რომელსაც დღეს განვიხილავთ, საბოლოო ანგარიშით მკაფიო გამოხატულებაა ახლებური აზროვნებისა, რომლის უმნიშვნელოვანესი მცნებაა სახელმწიფოებისა და ხალხების ინტერესების ორმხრივი მაქსიმალური გათვალისწინება.

ნება მიბოძეთ იმედი გამოვთქვა, რომ ხელშეკრულების განხილვას საბჭოთა პარლამენტის მიერ საჯაროობის პირობებში და დემოკრატიული მსჯელობის გზით მოჰყვება პასუხისმგებლური სახელმწიფო გადაწყვეტილება—მისი რატიფიკაცია, მისთვის კანონის ძალის მინიჭება. და მაშინ, როგორც მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, ეს ხელშეკრულება „ისტორიული თარიღი გახდება უომბო მსოფლიოზე ადამიანის ოდინდელი ოცნების მატიანეში".

• • •

კითხვაზე პასუხის გაცემისას მინისტრმა თქვა, რომ თვით ხელშეკრულება არ ზღუდავს იმ ბირთვულ თუ სხვა საშუალებებს, რომლებზეც მისი მოქმედება არ ვრცელდება. მაგრამ იგი კარგ პირობებს უქმნის იმას, რომ მივაღწიოთ პროგრესს, მივაღწიოთ იარაღის შემცირებას სხვა მიმართულებებითაც: ბირთვული, ჩვეულებრივი და ქიმიური შეიარაღების დარგში.

ტრიბუნაზეა **დ. ტ. იაზოვი.** მან ხელშეკრულება შეაფასა საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტური სახელმწიფოების საიმედო დაცვის უზრუნველყოფაზე მისი ზემოქმედების პოზიციიდან. ცნობილია, თქვა მინისტრმა, რომ ჩვენ დაახლოებით ორჯერ მეტი რაკეტა უნდა მოვსპოთ, ვიდრე შეერთებულმა შტატებმა. მაგრამ საქმე აქ არითმეტიკა როდია. ხელშეკრულების შეფასებისას ციფრების გარდა უნდა გავითვალისწინოთ სხვა გარემოებებიც: სამხედრო, პოლიტიკური, მორალური, ფსიქოლოგიური გარემოებები. სამხედრო თვალსაზრისით დიდად მნიშვნელოვანია, რომ შეერთებული შტატები ევროპაში სპობს თავის საშუალო სიშორის რაკეტებს, რომლებიც სსრ კავშირის მიმართ პრაქტიკულად სტრატეგიულია. მათ 8-10 წუთში შეუძლიათ დააზიანონ ობიექტები სსრ კავშირისა და მისი მოკავშირეების ტერიტორიაზე. ეს რაკეტები ზოგ-ზოგებს უღვივებდნენ „შეზღუდულ" ბირთვულ ომში გამარჯვების შესაძლებლობის ცრუ იმედს. ხელშეკრულება სპობს ამ ცრუ იმედებსაც და რეალურ საფრთხესაც სსრ კავშირის ევროპული ნაწილისა და მისი მოკავშირეებისათვის.

საბჭოთა რაკეტებს, რომლებიც მოწინავე ბაზირების ამერიკული ბირთვული საშუალებების, ინგლისისა და საფრანგეთის რაკეტების გამაწონასწორებელ ძალას წარმოადგენდნენ, არ დაურღვევიათ სამხედრო წონასწორობა ევროპაში. ჩვენ რომ ხელი არ მოგვეწერა ხელშეკრულებისათვის და ამერიკელებს განეგრძოთ საშუალო სიშორის რაკეტების განლაგების თავიანთი პროგრამის შესრულება, შეიძლებოდა შექმნილიყო ისეთი სიტუაცია, როცა შეერთებულ შტატებს ევროპაში მეტი ასეთი რაკეტა აღმოაჩნდებოდა. ეს გვაიძულებდა საკუთარი უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით, მიგველო საპასუხო ზომები და, ამგვარად, გამალებული შეიარაღება დაუსრულებლად გაგრძელდებოდა, სერიოზულად გართულდებოდა ვითარება ევროპასა და მსოფლიოში.

მაშასადამე, საქმე მარტო ციფრები არ არის, თუმცა ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ორივე მხარემ გადადგა კომპრომისული ნაბიჯები. მაგალითად, შეერთებული შტატები დათანხმდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „პერშინგ-1 ა" რაკეტების ამერიკული ბირთვული ქობინების ლიკვიდაციას, უარი თქვა მიწისზედა ფრთოსანი რაკეტების საზღვაო რაკეტებად გადაკეთებაზე, დათანხმდა ბალისტიკური და ფრთოსანი რაკეტების სიშორის განსაზღვრას სანატურო გამოცდებით, ნაცვლად მანამდე შემოთავაზებული რთული ტექნიკური ფორმულისა. ამის შედეგად გვაქვს ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებაზე დამყარებული ხელშეკრულება. და ის, რომ ჩვენი ინიციატივით დაედო სათავე რეალურ ბირთვულ განიარაღებას, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის დამსახურებაა, უზარმაზარი პოლიტიკური და მორალური მოგებაა, რომელმაც კიდევ უფრო განამტკიცა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი.

ხელშეკრულება ჩვენ ღრმად და ყოველმხრივ დავამუშავეთ, ყოველი სიტყვა და ყოველი ციფრი უაღრესად გულდასმით განიხილებოდა და მოწმდებოდა.

ხომ არ მოახდენს გავლენას საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაცია ჩვენს უშიშროებაზე? ბირთვულ-კოსმოსურ საუკუნეში, როცა მხარეებს უკვე რამდენიმე ათასი ბირთვული ქობინი აქვთ, რომლებიც ამოქმედების შემთხვევაში კატასტროფის საფრთხეს შეუქმნიან მსოფლიოს, უშიშროება უსასრულოდ ვერ დაემყარება ბირთვული შეიარაღების გაძლიერებას, შურისგების შიშს. სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს მიაჩნია, რომ საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაცია, რაც საერთაშორისო განვითარების დიდმნიშვნელოვან მიჯნას წარმოადგენს, შეგვამცირებინებს ომის საშიშროებისა და დაძაბულობის დონეს.

ჩვენი სამშობლოს და მისი მოკავშირეების თავდაცვისუნარიანობას მარტო საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტები არ უზრუნველყოფს. არის სხვა სამხედრო საშუალებებიც, რომლებიც საიმედოდ უზრუნველყოფენ ჩვენს თავდაცვას. დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო, რომ სსრ კავშირის თავდაცვისუნარიანობა ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგაც ისეთ დონეზე იქნება, რომელიც საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომის საიმედოდ დაცვის საშუალებას იძლევა.

იარაღის რაოდენობრივი შემცირება ჩვენგან მოითხოვს შეიარაღებული ძალების სრულყოფის საჭირო ღონისძიებებს, მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ დასავლეთთან შეჯიბრებას კონკრეტულ სახეობათა იარაღის შექმნაში, ჩვენ ისეთ ღონისძიებებს ვირჩევთ, რომლებიც საბჭოთა კავშირისა და მისი მოკავშირეების უშიშროებას უზრუნველყოფენ. დიდ ყურადღებას ვუთმობთ ჯარების ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებას და მართვის სრულყოფას. ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, რათა კიდევ უფრო მძლავრი გახდეს სოციალისტური ქვეყნების საბრძოლო კავშირი — ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია, რათა მტკიცდებოდეს სოციალისტური სახელმწიფოების ერთობლივი თავდაცვა.

ხელშეკრულებაში დიდი როლი ეთმობა ორივე მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისადმი საიმედო კონტროლის უზრუნველყოფის საკითხებს. გათვალისწინებულია ინსპექციათა ეშელონირებული კომპლექსი, რომელიც მოიცავს ხელშეკრულების განხორციელების ყველა სტადიას: არსებული შეიარაღების საწყისი მონაცემების შემოწმებას; ლიკვიდაციის პროცესისა და იმ დარჩენილი საშუალებებისადმი თვალყურის დევნებას, რომელთა დემონტაჟი ჯერ არ დაწყებულა; კონტროლს იმისადმი, რომ არ იწარმოებოდეს ხელშეკრულებით მოცული იარაღი. ინსპექციები კონტროლის ეროვნულ ტექნიკურ საშუალებებთან შეხამებით ორივე მხარეს შესაძლებლობას აძლევენ დარწმუნებული იყვნენ ხელშეკრულების საიმედო შესრულებაში.

ჩვენ ვემზადებით ინსპექციების მოსაწყობად ამერიკის ობიექტებზე და მესამე ქვეყნებში მდებარე ობიექტებზე, რომლებიც ამერიკულ საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტებს უკავშირდებიან. ასეთი ინსპექციები საშუალებას მოგვცემს დავრწმუნდეთ მათი ინფორმაციის სისწორეში და ამერიკის მხარის მიერ ხელშეკრულების დებულებათა დაცვაში. ინსპექციები სერიოზულ მოთხოვნებს უყენებენ შესაბამის სამხედრო ორგანიზაციებსა და რაკეტების დამამზადებელ ქარხნებს, მათი ამოცანაა კიდევ ერთხელ გავიაზროთ და განვახორციელოთ ყველა იმ ღონისძიების კომპლექსი, რომლებიც ჩვენს ტერიტორიაზე ამერიკის მხარის მიერ ინსპექციების მოწყობას უკავშირდება, რათა უზრუნველვყოთ მიმღებ მხარეზე დაკისრებული ვალდებულებების უთუო, ზუსტი და დროული შესრულება.

შესასრულებელია აგრეთვე რაკეტებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობისა თუ ნაგებობების ლიკვიდაციის მნიშვნელოვანი მოცულობის სამუშაოები. თავდაცვის სამინისტროსათვის დაკისრებულ ამოცანათა შესრულების მოსამზადებელი სამუშაო უკვე მიმდინარეობს. ჩვენ მზად ვართ ზუსტად და ვადაზე შევასრულოთ ხელშეკრულების დებულებებით ნაკარნახევი ყველა მოთხოვნა.

მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ ნავარაუდევია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ლიკვიდაციის პროცედურათა განხორციელების შემდეგ დარჩენილი ტექნიკა შეძლებისამებრ გამოყენებულ იქნეს სახალხო მეურნეობაში.

ჩვენ გარკვეულ შეშფოთებას აღგვიძრავს ის, რომ ევროპაში საბჭოთა და ამერიკული რაკეტების ლიკვიდაციის პერსპექტივა, ეტყობა, არ ეჭაშნიკა ნატოს ზოგიერთ მოღვაწეს. ჩვენ შეუმჩნეველი არ გვრჩება მათი მსჯელობა „კომპენსაციებზე", ევროპის ტერიტორიაზე ან მისი მიმდებარე ზღვებისა და ოკეანეების აკვატორიებში საჰაერო თუ საზღვაო ბაზირების ისეთი ბირთვული საშუალებების დამატებითი განლაგების გეგმებზე, რომელთა სიშორე აკრძალულია მიწისზედა ბაზირების რაკეტებისათვის. ყველა ეს ღონისძიება მიზნად ისახავს ვაშინგტონის შეხვედრის შედეგებისათვის ძირის გამოთხრას. ისინი კიდევ ერთხელ ცხადყოფენ, რომ იმპერიალიზმის ყველაზე რეაქციული ძალები ვერ ელევიან სამხედრო უპირატესობის მიღწევის ცდებს, სურვილს, მუდმივი დაძაბულობის მდგომარეობაში ჰყავდეთ მსოფლიო.

მაგრამ ისინი, ვინც ნატოს ბლოკის ასეთ პოლიტიკას განსაზღვრავს, დროა ჩაუფიქრდნენ ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციასთან შედარებით სამხედრო უპირატესობის მიღწევის ცდების ამაოებას. მოკავშირე სოციალისტური ქვეყნები თვითონ არ ესწრაფვიან სამხედრო უპირატესობის მიღწევას, მაგრამ არც იმას ცნობენ, რომ ვინმე სხვას აქვს ასეთი უფლება. სამხედრო უპირატესობის მიღწევის გეზს ჩვენ პრინციპულად უარვყოფთ. ეს არაერთხელ განუცხადებიათ ჩვენი მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელებსა და ჩვენს მთავრობას.

საბჭოთა შეიარაღებული ძალები იწონებენ ვაშინგტონში უმაღლეს დონეზე მიღწეულ მორიგებებს. ჩვენ მხარს ვუჭერთ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მეცადინეობას მიაღწიონ მორიგებას სტრატეგიული შეტევითი იარაღის დიდი, 50-პროცენტიანი შემცირების პრობლემაზე, რაც უნდა მოხდეს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების დაცვის პირობებში, როგორც იგი იყო მიღებული 1972 წელს, აგრეთვე მორიგებებს განიარაღების დარგის სხვა მიმართულებებით. საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ხელშეკრულების ამოქმედება შეესატყვისება სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებას და საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ინტერესებს. ჩემი აზრით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შეუძლია მისი რატიფიცირება.

უპასუხა რა კითხვებს საკადრო პრობლემებზე, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას ჩვენს შეიარაღებულ ძალებში იარაღის შემცირების გამო, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა თქვა, რომ ასეთი პრობლემა არ იქნება. ცხადია, რაკეტების ლიკვიდაციასთან ერთად ჯარების რაღაც რაოდენობაც უნდა შემცირდეს. შემცირდება ვადიანი სამსახურის პირადი შემადგენლობა. ოფიცრები, რომლებმაც სამსახურის დადგენილი ვადა იმსახურეს, დათხოვნილი იქნებიან არმიიდან შესაბამისი საპენსიო უზრუნველყოფით და სხვა შეღავათებით. დანარჩენი ოფიცრები ჯარებში განაწილდებიან. არც ერთი ოფიცერი არ დარჩება სამუშაოს გარეშე, მათ უზრუნველყოფენ შეიარაღებულ ძალებში სამსახურით.

დასავლეთში გავრცელებულ მტკიცებებს, თითქოს ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციას დიდი უპირატესობა ჰქონდეს ნატოსთან შედარებით ჩვეულებრივი იარაღისა და შეიარაღებული ძალების მხრივ, არავითარი საფუძველი არა აქვს. მაგრამ გარკვეული დისბალანსები არის, თქვა მინისტრმა სხვა კითხვებზე პასუხში.

ნატოს ხელმძღვანელები მიზანდასახულად აზვიადებენ ვარშავის ხელშეკრულების უპირატესობას ცალკეულ ელემენტებში, რისთვისაც განიხილავენ მათ ძალთა საერთო შეფარდების გაუთვალისწინებლად, როგორც ეს ხდება ტანკების რაოდენობის მიმართ. მაგრამ ისინი განზრახ ჩქმალავენ ნატოს უპირატესობას დამკვრელი ტაქტიკური ავიაციის რაოდენობასა და ხარისხში, აგრეთვე ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებში.

ასიმეტრიისა და დისბალანსებს რაც შეეხება, მზად ვართ მივუჯდეთ მოლაპარაკების მაგიდას და მოვილაპარაკოთ ორმხრივ საფუძველზე, ორივე მხარის უშიშროების გათვალისწინებით მათი ლიკვიდაციის შესახებ.

კამათის დროს გამოსული დეპუტატები განსახილველი საკითხის სხვადასხვა ასპექტს შეეხნენ.

შეაჯამა რა განხილვის შედეგები, ი. კ. ლიგაჩოვმა თქვა: მოვისმინეთ მინისტრების ამხანაგების ე. ა. შევარდნაძისა და დ. ტ. იაზოვის მოხსენებანი, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების **ვ. ს. სტეპანოვის, რ. ზ. საგდეევის, ი. ვ. ზახაროვისა და ჩ. აითმატოვის** გამოსვლები. გარდა ამისა, შესაძლებლობა გვქონდა დაგვესვა კითხვები და მიგვეღო საკმაოდ საფუძვლიანი პასუხი.

ვფიქრობ, ყველა საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ დასაბამი მიეცა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულების განხილვასთან და დასკვნის გამომუშავებასთან დაკავშირებულ საკითხზე მუშაობას. ჩვენმა ამხანაგებმა საფუძვლიანად წარმოაჩინეს ხელშეკრულების შინაარსი, მისი როლი და მნიშვნელობა კაცობრიობის მომავლისათვის. ამავე დროს დეპუტატთა გამოსვლებში გამოითქვა წინადადება, შეიქმნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების საგარეო საქმეთა კომისიების სამუშაო ორგანო — მოსამზადებელი კომისია, დაევალოს მას აუჩქარებლად, მაგრამ ინტენსიურად მოჰკიდოს ხელი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულების დეტალურ, საფუძვლიან დამუშავებას.

არის ბევრი საკითხი, რომლებსაც მუქი უნდა მოეფინოს ექსპერტებთან, სპეციალისტებთან შეხვედრის გზით, გავითვალისწინოთ საბჭოთა საზოგადოებრიობის სურვილები და შენიშვნები. ვფიქრობ, რომ ასეთი ხერხით ერთხელ კიდევ მივაპყრობთ მთელი ჩვენი ხალხის, მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღებას ამ უაღრესად მნიშვნელოვან პოლიტიკურ დოკუმენტს.

როგორც მესმის, დეპუტატები მხარს უჭერენ ამ წინადადებას. შემდეგ ი. კ. ლიგაჩოვმა სიტყვა მისცა **ა. თ. დობრინინს.**

ა. თ. დობრინინმა წინადადება შეიტანა მოსამზადებელი კომისიის შემადგენლობაში აირჩიონ დეპუტატები — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების წევრები ჩ. აითმატოვი, ვ. გ. აფანასიევი, ნ. ნ. ბლოხინი, გ. მ. კორნიენკო, გ. მ. მარკოვი, ნ. ვ. ორლოვა, რ. ზ. საგდეევი, ი. ა. სკლიაროვი, ვ. ი. ფედოსოვი და ს. ვ. ჩერვონენკო.

ამრიგად, ორივე პალატის საგარეო საქმეთა კომისიები წარმოდგენილია დეპუტატთა თანაბარი რაოდენობით — ხუთ-ხუთი დეპუტატით თითოეული კომისიისაგან. თქვენ მიერ კომისიის დამტკიცების შემდეგ მას შეუძლია თავის სხდომაზე აირჩიოს თავმჯდომარე და დასახოს მუშაობის გრაფიკი. შეთავაზებულ სიას ერთხმად ამტკიცებენ.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხის შემდგომი განხილვისათვის პალატების საგარეო საქმეთა კომისიების შემდგომი გაერთიანებული სხდომა გაიმართება მოსამზადებელი კომისიის მუშაობის შედეგების გათვალისწინებით. სხდომის თარიღს დეპუტატებს დროულად აცნობებენ.

ამით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების სხდომა საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხზე დამთავრდა.

(საქდესი).

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

დიდი მეცნიერის სახელობისა

გუშინ თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში საზეიმოდ გაიხსნა საბჭოთა კავშირის ისტორიის კაბინეტი. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 70 წლისთავს მიეძღვნა და მისი დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილის სახელი მიენიჭა. [illegible]

[illegible]

ჯ. ლომაძის ფოტო.

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ძმობის ნიშნით

[illegible]

დაიწყო მოლაპარაკება

[illegible]

[illegible] შექმნისა და საქმიანობის შესახებ.

მ. ოქხოვსკიმ გვირგვინით შეამკო ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი. გვირგვინით შეამკო აგრეთვე უცნობი ჯარისკაცის საფლავი კრემლის გალავანთან.

ყვავილებით შეამკო ფ. ე. ძერჟინსკისა და კ. კ. როკოსოვსკის საფლავები კრემლის გალავანთან.

▼ ▼

„მირ" ორბიტული კომპლექსი: უწყვეტი პილოტირებული ფრენის წელი

ფრენის მართვის ცენტრი: 9 თებერვალი. წლის განმავლობაში პილოტირებული რეჟიმით უწყვეტ ექსპლოატაციას უწევენ „მირ" ორბიტულ სამეცნიერო-კვლევით კომპლექსს. ამჟამად იქ მუშაობენ კოსმონავტები [illegible]

[illegible]

▼ ▼

თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებს, განსაკუთრებით კი სტუდენტურ ოჯახებს კარგ სამსახურს უწევს

სტუდენტური თვითმმართველობა

მისი მეშვეობით ერთდროულად რამდენიმე საკითხი წყდება. თვითმმართველობამ პირველ რიგში წამოსწია სტუდენტის თავისუფალი დროის უფრო რაციონალურად გამოყენებისა და მისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხი.

სტუდენტთა თვითმმართველობის მეოხებით საერთო საცხოვრებლებსა და სასწავლო კორპუსებში კომენდანტებად, კარისკაცებად და სხვა სამუშაოებზე სტუდენტები არიან დანიშნული.

▼ ▼

სამი ახალმოსახლეობა

[illegible] მა ერთდროულად სამი „ახალმოსახლეობა" იზეიმეს. ახალ შენობაში დაიდეს ბინა სასოფლო ამბულატორიამ, საბავშვო ბაღმა და აბანომ, რომლებიც ჯორჯიაშვილის საბჭოთა მეურნეობამ საკუთარი სახსრებით აგო.

რაიონში ფართოდ გაჩაღდა კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობა წილობრივი მონაწილეობით. მაგალითად, რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანება ამ წესით მონაწილეობს სოფლების გაზიფიკაციის საქმეში, აგრეთვე სპორტკომპლექსის მშენებლობაში, რაიონული საავადმყოფოს კეთილმოწყობაში. სოფლის მეურნეობის საწარმოები დიდ თანხებს აბანდებენ აგრეთვე კულტურული და სპორტული ინვენტარის შესაძენად, საყოფაცხოვრებო და სავაჭრო ობიექტების ქსელის გასაფართოებლად.

ფელეტონი

ხერხი სჯობია ნამუსსა?..

ამბობენ, მსოფლიოში მოსახლეობით ყველაზე დიდი ქალაქი მეხიკოაო. ამბობენ, ამ ქალაქში ოც მილიონამდე კაცი ცხოვრობსო. ღმერთმა ხელი მოუმართოთ, მაგრამ რომ წარმოვიდგენ, რა გზით, რა ხრიკებით თუ მარიფათით ეწერებიან საბინაო დავთარში მეხიკოს მცხოვრებნი, დარჩენილი თმა ყალყზე მიდგება. იქაური საპასპორტო მაგიდის უფროსები წარმოუდგენელ სიყალბეს სჩადიან, ალმასკომების მუშაკები პაწაწინა ოთახში ექვს ან ათ სულს წერენ (რომლებიც მერე მრავლდებიან), მთავრობის ბინებს უკანონოდ ყიდიან, ფიქტიურ ქორწინებებს აფორმებენ, რაიონებიდან ქალაქში გამორბიან, ბინას ჯერ ქირაობენ, მერე ეწერებიან და ვინ იცის, რას არ ოინბაზობენ ის საზიზღრები. გაიზრდება ქალაქი მეხიკო აბა რა მოუვა? ბინის ხელში ჩასაგდებად ათასი ხერხი არსებობს. აბა ყველას მე როგორ ჩამოგითვლით? საქართველოს მცხოვრებლებს კი გამოცდილების გასაზიარებლად მექსიკაში არ უშვებენ, ამბავი მაინც რომ ჩამოგვიტანონ. ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენ თვითონ მოვუყვეთ იმ საწყლებს, ჩვენთან როგორ ვწყვეტთ ამ მტკივნეულ საკითხს. თუ ჩვენს მიერ შემოთავაზებულ ოინებსაც [illegible] ნამდე გაიზრდება მეხიკოს მოსახლეობა. თანაც მოკლე ვადაში. აბა, ჰე!

დროებით სახელმძღვანელოდ, გამოცდილების გასაზიარებლად ჯერჯერობით გამოდგება ჩვენს გაზეთში ამას წინათ გამოქვეყნებული ფელეტონი — „შპროტის" მეთოდი..."

აი ხალხიც ისინი ყოფილან, პავლოვის ქუჩა № 28-ში რომ ცხოვრობდნენ და 17 კვადრატულ მეტრ ოთახში 82 სული ლაფავდა სულს. (ფელეტონის გამოქვეყნების შემდეგ, ვინ იცის, ამ ოთახის სულადობამ ორმოცსაც მიაღწია).

...ბ. ო. ლაზაშვილი გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყში დაიბადა. იქ გაატარა, რომ იტყვიან, შეგნებული ცხოვრების პირველი ნახევარი: იქვე ჰყავდა ცოლ-შვილი, მშობლები, მაგრამ ვერ მოერგო სოფელს. ქალაქისაკენ გამოუწია გულმა. მოგეხსენებათ, გულისთქმა რა მძიმე სენია. თუ არ აჰყევი, მტრისას და ავისას!

ვინაიდან მეხიკო ჩუმლაყიდან ცოტა მოშორებით იყო, მან გადაწყვიტა თბილისში მაინც ჩაწერილიყო. ისე მოხდა, რომ სწორედ ამ დროს მისი ნათესავი (ქვისლი) მურმან იროდიონის ძე ხვანიძე მუშაობდა სტუდქალაქში, № 6 კორპუსის კომენდანტად.

ბევრი ფიქრი რად უნდოდა დასახული მიზნის მისაღწევად — შექმნეს ყალბი საბუთი, თითქოს ბიძინა ოთარის ძე ლაზაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი იყო, შეაგროვა სხვა „საბუთებიც" და დაუბრკოლებლად ჩაეწერა სტუდქალაქში. ჩაწერა რომ გაინაღდა, მძლოლად დაიწყო მუშაობა. ჩამოიყვანა ცოლ-შვილი და, ჰერი ბიჭო!

კარგა ხნის შემდეგ დროებით ჩაწერის ვადა გაუვიდა. ჩუმლაყში დაბრუნების საშიშროების წინაშე დადგა ლაზაშვილების ოჯახი. მაგრამ ზღაპრებში რომ ხდება, ისე მოხდა ამჯერადაც: მფარველ ანგელოზად მოევლინათ ლეო პეპიკოს ძე ჯაფარიძე, რომელიც იმ ხანობას სტუდქალაქის კომენ- [illegible] უყურეს ერთმანეთს თვალები, ითათბირეს, ივაჭრეს და ბოლოს შეთანხმდნენ — თბილისში ჩასაწერად ჯაფარიძემ ლაზაშვილს ექვსი ათასი მანეთი გამოართვა. პასპორტში აღინიშნებოდა, რომ ბ. ო. ლაზაშვილი მუდმივად არის ჩაწერილი თბილისში, ნუცუბიძის მე-2 მიკრორაიონის მეორე კორპუსში.

სიხარულით ცას ეწია ბიძინა ლაზაშვილი. როგორც იქნა, მისი სანუკვარი ოცნება ახდა — თბილისს კიდევ ერთი ოჯახი შეემატებოდა, სულ პატარა, უმნიშვნელო დეტალი რომ არა! ფული, რომელიც ლაზაშვილებმა გაიღეს, ნამდვილი იყო, ხოლო თბილისში ჩაწერის ბეჭდები და შტამპები — ყალბი. ამჯერად კოვზი ნაცარში ჩაუვარდა ბიძინას, მაგრამ, ამბობენ, ფარ-ხმალს არა ყრის და მაინც ჯიქურ, უკვე სხვა ხერხით აპირებს თბილისის დაპყრობასო.

ახლა ბინის მიღების სხვა ხერხზეც მოგახსენებთ, რომელსაც მექსიკაში კი არა, მსოფლიოს ვერცერთ ქვეყანაში ვერ შეხვდებით, თბილისს გარდა. ნიჭიერი, ფანტაზიით სავსე ხალხია ბინის მაძიებლები. ნამუსისა რა მოგახსენოთ, თორემ... თუ არა გჯერათ, ყური მიგდეთ:

თბილისში, ლენინის სახელობის რაიონში ცხოვრობდა ვინმე მესროპ ოგანესის ძე ერანოსიანი. კარგა ხნის კაცი გახლდათ. — 1898 წელს დაბადებული. ბერიკაცს იზოლირებული ბინა ჰქონდა და, როგორც ყველა მოხუცი, დროდადრო იმქვეყნიურ ცხოვრებაზეც ფიქრობდა. მისი ერთადერთი სიხარული შვილიშვილი (ქალიშვილის შვილი) სუსანა მნაცაკის ასული აბდალიანი იყო, 1958 წელს დაბადებული. ბაბუა-შვილიშვილი სულ ერთად იყვნენ. უხაროდათ მეზობლებს, რა მოსიყვარულე გოგოა სუსანა, რა თბილი ბაბუაა მესროპიო.

და უეცრად იჰექა! — ბაბუაშვილიშვილმა მმაჩის ბიუროში ხელი მოაწერეს. შეუღლდნენ, ცოდვის ოჯახი შექმნესო... ახმაურდა უბანი, იწყევლებოდნენ ქალები... მერე? არაფერი მერე. დაწყნარდნენ.

თურმე, ნუ იტყვით, ქორწინე- [illegible] სუსანასათვის თავისი ბინის დატოვება ნდომებია, მას კი, აბა რა არ დასწამეს! მართალია, ცოტა ხანში „დაქვრივდა" სუსანა, მაგრამ შვილები ბაბუის გვარსა და მამის სახელს ატარებდნენ...

აბა მითხარით, ასეთი რამ მეხიკოში მომხდარა?

გავიკითხ-გამოვიკითხეთ ეს ამბავი. ყველგან ერთსა და იმავეს გვეუბნებიან — ასაკში სამოცი წლის განსხვავებას მნიშვნელობა არა აქვსო... მერე რა, ბაბუამ მკვიდრ შვილიშვილთან იქორწინაო.. კანონი არ კრძალავსო... უფლება აქვთო და ა. შ.

ხალხნო, რა კარგია, კანონი მორალის მხარდამხარ რომ დადის, ნამუსი კი მოქალაქის პირველი, გზის მანათობელი შუქურა რომ არის!

გურამ ხარაიძე.

მღერალი მივლინებიდან დაბრუნდა

ბათუმს ქათქათას

პრობლემებს უქმნის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა

დამეთანხმებით, ტექნიკაში გაუთვითცნობიერებელი ადამიანისთვისაც კი გასაგებია, რა როლს ასრულებს ნავთობი დღევანდელი კაცობრიობის ცხოვრებაში.

ამ საოცარი, იდუმალებით აღსავსე სითხის წყალობაა, რომ დედამიწის ზურგზე მოძრაობს მილიონობით ავტომობილი, მატარებელი, გემი, თვითმფრინავი.

ნავთობპროდუქტების წყალობაა ისიც, რომ მსოფლიოს ელექტროენერგიის დაახლოებით მესამედი ნავთობპროდუქტების წვის შედეგად მიიღება თბოელექტროცენტრალებში.

ნავთობი იდუმალებით აღსავსე სითხეა-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ ჯერჯერობით არ გაგვაჩნია დადასტურებული და დამტკიცებული თეორია ნავთობის წარმოშობის თაობაზე.

დღევანდელი ვარაუდით, მსოფლიოში ორგანული საწვავის მარაგი შეადგენს 3.500 მილიარდ ტონას, ნავთობი კი მხოლოდ 6-7 პროცენტია ამ რაოდენობისა.

მაგრამ, თუ შექმნილი მდგომარეობის მიხედვით ვიმსჯელებთ, დღევანდელი კაცობრიობის მიერ წლიურად დახარჯული ორგანული სათბობიდან ნავთობის წილად მოდის 50 პროცენტი!

ამ მოვლენის ახსნა ადვილია, ნავთობის გამოყენება ტექნიკურად იოლია და ძალზე ეფექტიანი. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ნავთობისაგან ამზადებენ დღევანდელი მრეწველობისათვის აუცილებელ 2500 სახეობის პროდუქციას.

ენერგიის ახალი წყაროების (მაგ. ატომურის) აღმოჩენამ სრულებითაც ვერ შეზღუდა ნავთობის მოხმარების მოცულობა. პირიქით, რაც დრო გადის, მისი გამოყენება უფრო და უფრო იზრდება.

ვფიქრობ, მკითხველისათვის საინტერესო იქნება ზოგიერთი მონაცემი ნავთობის გამოყენების სფეროში. 1800 წელს პლანეტაზე მოიპოვეს 100 ათასი ტონა ნავთობი. დღესდღეობით მსოფლიოში ყოველწლიურად იხარჯება 3 მილიარდი ტონა ნავთობი. ვარაუდობენ, რომ საუკუნის ბოლოსათვის მისი მოპოვება და მოხმარება გასამკეცდება!

როგორც ვხედავთ, ამ უძვირფასესი სათბობის გამოყენება საშინელი სისწრაფით იზრდება.

ამიტომაც ამბობდა დ. მენდელეევი, ნავთობის დაწვა ასიგნაციების დაწვას ნიშნავსო.

ამიტომ ამბობენ დღევანდელი პოლიტიკოსები, დღეს ვისაც ნავთობის დიდი მარაგი აქვს, შეუძლია მსოფლიოს თავისი პოლიტიკა უკარნახოსო.

ყველას უგრძვნია — მანქანიანსაც და უმანქანოსაც, როგორ ირღვევა ცხოვრების რიტმი, ჩვეული ინერცია საქართველოში ნავთობის პროდუქტების მოწოდების შეფერხების პირველი წუთებიდანვე.

ნორმალურ ცხოვრებაზე, რესპუბლიკის ეკონომიკაზე უდიდეს უარყოფითს ზეგავლენას ახდენს ნავთობის მიწოდების შეფერხება თუნდაც ერთი დღით.

თანაც, არ უნდა დაგვავიწყდეს, გამოყენებული ნავთობის მოცულობა კი არ მცირდება, თითქმის ყოველწლიურად იზრდება.

მოგეხსენებათ, ნავთობი ჯერ კიდევ არ ნიშნავს საწვავს. მიწის წიაღიდან ამოღების შემდეგ ურთულესი ტექნოლოგიური ციკლია გასავლელი, რათა მისგან მივიღოთ სხვადასხვაგვარი ბენზინი, ძრავის საწვავი, მაზუთი, ბიტუმი და ათასგვარი სხვა პროდუქცია.

საქართველოს ნავთობპროდუქტებით მომარაგების საქმეში ძალზე დიდ როლს ასრულებდა და ასრულებს ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა. თუ ავიღებთ მეთერთმეტე ხუთწლედის მონაცემებს, ბათუმი რესპუბლიკას აწვდიდა თავის მიერ გამოშვებული ნავთობპროდუქციის 54 პროცენტს (მთლიანად რესპუბლიკაში ბათუმის წილად მოდის ნავთობპროდუქციის 38,8 პროცენტი). პროდუქციის ნაწილი კი იგზავნება უცხოეთში.

როგორც ვხედავთ, ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის ხვედრითი წილი რესპუბლიკის ცხოვრებაში ძალზე დიდია.

ბათუმში ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის აგების იდეა 1923 წელს დაიბადა. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ბათუმში რევოლუციამდეც იყო წვრილ-წვრილი ნავთობგადასამუშავებელი საწარმოები, სადაც ნავთობიდან კუსტარული ტექნოლოგიით იღებდნენ ნავთს.

უფრო სწორად, თავდაპირველად ბათუმის ხსენებაც არ ყოფილა. „გროზნავთობის" წინადადებით ნავთობსადენი მილები უნდა გაეყვანათ გროზნოდან ნოვოროსიისკამდე ან ტუაფსემდე. იყო მეორე ვარიანტიც — ბაქოდან ფოთამდე.

1925 წელს, როდესაც სპეციალისტები გაეცნენ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს, ფოთთან ერთად ურეკი და ბათუმიც მოიწონეს ქარხნის ასაშენებლად. „აზნავთობის" წარმომადგენელმა, ინჟინერმა ვ. ლევიცკიმ მაინცდამაინც ბათუმს დაადგა თვალი. არც იყო გასაკვირი. მას აინტერესებდა შტორმებისაგან დაცული წყნარი ყურე, სადაც ტანკერებს შეუფერხებლად შეეძლებოდათ შემოსვლა. იმ პერიოდში, მოგეხსენებათ, დღევანდელივით მძაფრად როდი იდგა ეკოლოგიის პრობლემა და არც ტურისტული ინდუსტრია იყო დღევანდელ დონეზე.

მიუხედავად ამისა, ბათუმის საზოგადოებამ მაშინ დიდი განგაში ატეხა და გაილაშქრა ამ უმშვენიერეს ქალაქში ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის აგების წინააღმდეგ.

ბათუმის ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებთან ერთად დასაბუთებული დასკვნები წარმოადგინეს ექიმებმა ა. თუმანიშვილმა, ი. მჭედლიძემ, კ. მხეიძემ, პ. გიგინეიშვილმა და სხვებმა, რომლებმაც ზუსტად განსაზღვრეს, რა მძიმე შედეგები მოჰყვებოდა ბათუმში ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის აგებას.

სამწუხაროდ, საზოგადოების აზრისათვის ანგარიში არავის გაუწევია. დავა მხოლოდ იმაზე იყო, სად ჯობდა ქარხნის აგება. იქ, სადაც დღეს არის, თუ სოფელ კახაბერთან, ჭოროხის დელტის მარჯვენა მხარეს.

როდესაც ბათუმელები მიხვდნენ, ქარხნის აშენებას წინ ვერაფერი დაუდგებოდა, ბრძოლა დაიწყეს მეორე ვარიანტისათვის და მტკიცედ მოითხოვდნენ ქარხანა აეშენებინათ ჭოროხის დელტასთან. „აზნავთობი", თავის მხრივ, კატეგორიულად მოითხოვდა, ქარხანა აშენებულიყო იქ, სადაც ამჟამად მდებარეობს —ყოროლისწყალსა და კუბაწყალს შორის მდებარე სოფლებში (ძირითადად ბარცხანა და თამარი, აგრეთვე ორთაბათუმისა და კაპრეშუმის ნაწილი).

1925 წელს შეიქმნა ბაქო-ბათუმის ნავთსადენისა და ქარხნის პროექტის შემმუშავებელი კანტორა. მას სათავეში ჩაუყენეს ინჟინერი ა. ბულგაკოვი (შემდგომში აკადემიკოსი).

იმავე წლის 17 მარტს ნავთობმრეწველობის საბჭომ ი. გუბკინის მეთაურობით კვლავ დაჟინებით მოითხოვა ბათუმში ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის მშენებლობა, თანაც მხოლოდ ეკონომიკური ეფექტით დაასაბუთა ქარხნის აშენების მიზანშეწონილობა ზუსტად იმ ადგილას, სადაც ამჟამად არის აშენებული.

ბათუმის ინტელიგენციას ფარ-ხმალი არ დაუყრია. უკვე მესამე წელიწადი იყო, დავა გრძელდებოდა. 1926 წელს მომავალი ქარხნის ტერიტორიის დასათვალიერებლად ბათუმში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის მთავარსახსათბობის უფროსი ა. ჩუბაროვი, „აზნავთობის" მრეწველობის დირექტორი მ. ნეიმანი და „მთავარსახსათბობის" ინჟინერი ი. ელინი.

კიდევ ვიმეორებ, ხელმძღვანელობდნენ რა მხოლოდ ეკონომიკური მოსაზრებებით, საბოლოოდ არჩევანი მაინც პირველ ვარიანტზე შეაჩერეს. ე. ი. იმ ადგილზე, სადაც ამჟამად მდებარეობს ქარხანა. სამწუხაროდ, რესპუბლიკის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ (ს. ჯუღელი) მხარი დაუჭირა ამ გადაწყვეტილებას.

კიდევ ერთი საგულისხმო მომენტი მინდა გავიხსენო ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის მშენებლობის ისტორიიდან. სათანადო საკავშირო ორგანიზაციის 1926 წლის ნოემბრის დადგენილებით, „აზნავთობს" უფლება ეძლეოდა ქარხნის დაპროექტებისა და მშენებლობის პროცესში საკონსულტაციოდ მოეწვია გამოცდილი საზღვარგარეთელი სპეციალისტები, რათა დაზღვეული ყოფილიყვნენ ყოველგვარი შეცდომისაგან. ეს მით უფრო გახლდათ უპრიანი, რომ ქარხნის აღჭურვილობა თითქმის მთლიანად უცხოური უნდა ყოფილიყო.

სამწუხაროდ, „აზნავთობის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა მხოლოდ თავის სპეციალისტებს დაყრდნობოდა. ამ გაუმართლებელმა თვითდაჯერებამ და ამბიციამ თავისი ნაყოფი გამოიღო. შეცდომებმა შემდგომში იჩინა თავი...

ასე იყო თუ ისე, ქარხანა მაინც აშენდა. აშენდა და მტკიცედ დამკვიდრდა რესპუბლიკის ინდუსტრიულ ცხოვრებაში. ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ, როგორია მისი ხვედრითი წილი საქართველოს ნავთობპროდუქტებით მომარაგების სფეროში.

რა დღეშია ქარხანა დღეს? როგორ ესადაგება მისი ტექნიკური აღჭურვილობა დღევანდელ მოთხოვნებს?

დავიწყოთ მომარაგებით. უწინ ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა ძირითადად აზერბაიჯანის, გროზნოსა და უკანასკნელ პერიოდში ქართულ ნავთობს ამუშავებდა.

ამჟამად სურათი ძალზე შეიცვალა. ბაქოდან ნავთობი აღარ მოდის, ხოლო ქართული ნავთობის ხვედრითი წილი 70 პროცენტიდან 4 პროცენტამდე შემცირდა.

ძალზე გაიზარდა ბათუმში ნავთობის შემოტანის მანძილი და დაახლოებით 3000 კილომეტრს მიაღწია, რაც თავისთავად ძალზე ართულებს რესპუბლიკაში ნავთობის შემოზიდვის საქმეს.

ეს არ არის მთავარი.

მთავარი ის გახლავთ, რომ, თუ აქამდე ქარხანა მუშაობდა დაბალგოგირდიან ნავთობზე, ამჟერად მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა.

ქვემოთ მინდა მკითხველს გავაცნო, საიდან მოდის ნავთობი ბათუმში და როგორია მისი გოგირდშემცველობა. განმარტებისთვის მოგახსენებთ: დაბალგოგირდიან ნავთობად ითვლება ნედლეული, რომელშიც გოგირდის შემცველობა არ აღემატება 0,5 პროცენტს. შემდეგ მოდის გოგირდოვანი და მაღალგოგირდოვანი ნედლეული.

დღესდღეობით ბათუმის ნედლეულით მომარაგების სურათი ასეთია (მომყავს 1987 წლის მონაცემები):

1. დასავლეთ ციმბირის ნავთობი — 30%.
   გოგირდის შემცველობაა 1,6%
2. ლიბიის ნავთობი — 18,5%
   გოგირდის შემცველობაა 0,3%
3. ალჟირის ნავთობი — 3,5%.
   გოგირდის შემცველობაა 0,2%.
4. შაიმსკაიას და კრასნოლენინსკის ნავთობი — 22%.
   გოგირდის შემცველობაა 0,45%.
5. გროზნოს ნავთობი — 10,8%.
   გოგირდის შემცველობაა 0,42%.
6. სარატოვის ნავთობი — 8,9%.
   გოგირდის შემცველობაა საშუალოდ 0,42%.
7. ქართული ნავთობი — 4%.
   გოგირდის შემცველობაა 0,2%.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი დამაფიქრებელი ფაქტიც. ქარხნის რეკონსტრუქციის მეორე რიგის შემდეგ ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა მთლიანად გადავა დასავლეთ ციმბირის გოგირდიან ნავთობზე, რომელშიც გოგირდშემცველობა თითქმის სამჯერ მეტი იქნება, ვიდრე ეს იყო ბათუმის ქარხნის ტრადიციულ ნედლეულში.

ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა მარაგდება ხმელეთიდან და ზღვიდან. ნავთობის დაახლოებით სამი მეოთხედი შემოდის ტანკერებით ნოვოროსიისკიდან და ლიბიიდან (წელს, თუ არ ვცდები, ალჟირიდან აღარ შემოიტანენ ნავთობს). მარტო 1984 წელს ბათუმში შემოვიდა 307 დიდი და პატარა ტანკერი. ნავთობის ერთი მეოთხედი კი ბათუმში მოდის ცისტერნებით (წელიწადში დაახლოებით 25 ათასი ცისტერნა).

ამას ემატება ბაქოდან ტრანზიტით მოსული საექსპორტო ნავთობპროდუქტები 20.000 ცისტერნის რაოდენობით.



მომავალში ვარაუდობენ, რომ ნავთობის გარკვეული მარაგი ცისტერნებით შემოზიდონ სამგორამდე, ხოლო სამგორიდან გაუშვან სამგორ-ბათუმის ნავთობსადენით, რომელიც დღესდღეობით არ არის დატვირთული. ამით შესაძლებელი გახდება ცისტერნებით გადატვირთული რკინიგზის ნაწილობრივი განტვირთვა (არსებობს აგრეთვე ხაშურ-ბათუმის ნავთობპროდუქტების სადენიც).

რა მდგომარეობაშია ქარხანა დღეს?

მანქანა-დანადგარები თითქმის მთლიანად ამორტიზებულია. იგი ნავთობგადასამუშავებელ ქარხნებს შორის ერთ-ერთი უძველესია მთელი კავშირის მასშტაბით. მისი დანადგარების 50 პროცენტმა უკვე იმუშავა 20 წელიწადზე მეტ ხანს, ხოლო დანარჩენ საწარმოო დანადგარებს ამორტიზაციის ვადა გაუდის 1989 წელს.

დანადგართა ასეთი სავალალო მდგომარეობა, ბუნებრივია, მოქმედებს ქარხნის მუშაობის ხარისხზე. გოგირდიანი ნავთობის დამუშავებამ კიდევ უფრო გაამძაფრა სიტუაცია. უფრო და უფრო ხშირად ხდება ავარიები კოროზიის შედეგად დაზიანებულ დანადგარებზე. მაგალითად, უკანასკნელ სამ წელიწადში ქარხანაში თერთმეტჯერ მოხდა ავარია. ზღვაში დამატებით ჩაიღვარა 16,3 ტონა ნავთობპროდუქტები და ქარხანამ ჯარიმის სახით გადაიხადა 660 ათასი მანეთი.

ჯარიმა კი გადაიხადეს, მაგრამ ისმება კითხვა, შველის ეს ჯარიმა ზღვის გასუფთავებას?

შევეცდები, მკითხველს ოდნავ მაინც დავუხატო ის სურათი, ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში რომ ვნახე.

ქარხნის ტერიტორია შეადგენს 113 ჰექტარს, აქედან 12 ჰექტარი უჭირავს წარმოების მავნე ნარჩენებს. ღია საცავებში ჩასხმულია მჟავე გუდრონები. ამ ტბორებისაგან წლების მანძილზე მიწა ინტენსიურად ილჟინთება მავნე მინარევებით. ამ ნარჩენებს ზღვიდან უმნიშვნელო მანძილი აშორებს. წესით კი სანიტარიული ზონა 1000 მეტრი მაინც უნდა იყოს. ამიტომ არის, რომ ქარხნის ტერიტორიის გასწვრივ ზღვის ფსკერი 5 მეტრის სიგანეზეა დაფარული გაჟღენთილი მიწიდან გამოჟონილი მჟავე გუდრონით.

უფრო მეტიც, მარტო ნავთობგადასამუშავებელი ქარხნიდან ზღვაში ჩადის მთელი ბათუმის და ქალაქში მდებარე ყველა საწარმოს მიერ გამოყოფილი მავნე ნივთიერებათა 70 პროცენტი. შესაბამისად, ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნიდან ჰაერში გამოიფრქვევა მთელ ქალაქში გამონაბოლქვი მავნე ნივთიერებების 76 პროცენტი.

მინდა მკითხველს თვალნათლივ დავანახო, რამდენად აღემატება ამ ქარხნიდან გამოყოფილი მომწამვლელი ნივთიერებანი დასაშვებ ნორმებს.

ისეთი სიმძლავრის ქარხნისათვის, როგორიც ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანაა, გოგირდოვანი ანჰიდრიდის გამოყოფა არ უნდა აღემატებოდეს 1815,7 ტონას. ფაქტობრივად გამოიყოფა 3965,4 ტონა; გოგირდწყალბადის გამოყოფა არ უნდა აღემატებოდეს 0,1 ტონას, ფაქტობრივად გამოიყოფა 6,4 ტონა; აზოტის ორჟანგი ნაცვლად ზღვრული 52,1 ტონისა, გამოიყოფა 531,46 ტონა. ასევე ნახშირწყალბადები ნაცვლად ზღვრული 1152,9 ტონისა — 3904,08 ტონა.

როგორც აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის დირექტორმა ი. დიასამიძემ მითხრა, მიახლოებითი გამოანგარიშებით, ყოველწლიურად ბათუმის ცისტერნებიდან ილვრება და იკარგება 200-300 ტონამდე ნავთობპროდუქტები.

უკვე აღარ გვიკვირს, რომ ბათუმის მიდამოებში ზღვის გაჭუჭყიანების დონე 20-ჯერ და მეტად უფრო მაღალია, ვიდრე ნორმით არის გათვალისწინებული. (იგულისხმება ზღვის ბაქტერიული დანაგვიანება. ნავთობპროდუქტები საკვებია ბაქტერიებისათვის და ზღვაში ჩაღვრისთანავე მიდის აქტიური ბიოლოგიური პროცესები). შავი ზღვის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს განყოფილების მეცნიერმა მუშაკებმა ა. კომახიძემ, ა. კოტოვმა და მ. ბაზმანიდიმ ძალზე დამაფიქრებელი სურათი დახატეს. რამდენიმე სახეობის თევზი და ყველა სახეობის კიბორჩხალასმაგვარნი მთლიანად ყოფილა განადგურებული. ბათუმსა და მის ახლო მდებარე კურორტების მთელ სიგრძეზე მკვეთრადაა შემცირებული და, სამწუხაროდ, სანახევროდაც კია განადგურებული სხვა სახეობათა თევზები.

შავი ზღვის ფაუნა დღესდღეობით ორ წნეხს შორის არის მოქცეული. ქვემოდან ბუნებრივი გოგირდწყალბადები აწვება, ზემოდან კი საწარმოების დაუდევრობის შედეგად ჩაღვრილი სიბინძურე. უკვე დადგა დრო შემუშავდეს მთელი შავი ზღვის ეკოლოგიურად გადარჩენის პროგრამა.

ამ წერილის მიზანს არ შეადგენს ვილაპარაკოთ შავი ზღვის საერთო მდგომარეობაზე. ამიტომაც ისევ ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანას დავუბრუნდებით.

ყველაზე იოლია დასკვნის გამოტანა: ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა ასეთი უსაშველო. გავაუქმოთ ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა! ამით ქალაქს გავუთავისუფლებთ შესანიშნავი მდებარეობის 113 ჰექტარ ფართობს. აქვე ჩავდგამთ რაიმე პატარა სუფთა ფაბრიკას, სადაც დავასაქმებთ ქარხნიდან გამოთავისუფლებულ 1100 კაცს. გაჭუჭყიანებისაგან დავიცავთ ულამაზეს საკურორტო ზონას, რომლის მსგავს მშვენიერებას ბევრგან როდი იხილავს კაცის თვალი.

დიახ, ძალზე ადვილია გამოვიტანოთ იოლი დასკვნა.

ჩვენს პრესაში ხშირად იწერება სტატიები, რომლებშიც ვიბრძვით რესპუბლიკაში ელექტროსადგურების აშენების წინააღმდეგ. გვინდა, რომ იგი ვიღაც სხვამ ააშენოს, თავის ტერიტორიაზე ააშენოს, ელექტროენერგია კი ჩვენ მოგვაწოდოს.

ასევე არ გვინდა გვქონდეს ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა, მაგრამ არც ის გვინდა, ერთი დღითაც რომ შეფერხდეს რესპუბლიკაში ბენზინის მოწოდება, თბოელექტროსადგურებისათვის მაზუთის შემოზიდვა, გზებისათვის ბიტუმის შემოტანა...

მაგრამ ერთი კია: ბათუმის პრობლემა არ მიეკუთვნება გადაუჭრელ, ან ძალზე ძნელად გადასაჭრელ პრობლემათა რიცხვს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბათუმში მუშავდება საბჭოთა კავშირში მოპოვებული ნავთობის მხოლოდ 0,1 პროცენტი, ხოლო მისი ხვედრითი წილი ამიერკავკასიაში მხოლოდ 17 პროცენტია, უფლება გვაქვს ვივარაუდოთ, რომ მისი გაუქმება დიდად არ დაეტყობა საქართველოს და საკითხის პროფესიულად განსჯის შემდეგ შეგვიძლია მოვითხოვოთ ქარხნის თანდათანობით დახურვა.

მოდით, ვიმსჯელოთ თანამიმდევრულად: თავში ვთქვით, რომ ბათუმის ქარხნის წილად მოდის საქართველოში საწვავი ნავთობპროდუქტების 38,8 პროცენტი.

დროთა განმავლობაში ნავთობპროდუქტებზე მოთხოვნილება მოიმატებს. შესაბამისად, ბათუმის ქარხნის ხვედრითი წილი შემცირდება და სხვა ქარხნებიდან შემოტანილი პროდუქცია კიდევ უფრო გაიზრდება. ბუნებრივია, ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანასაც თუ გავაუქმებთ, რესპუბლიკა მთლიანად იქნება დამოკიდებული სხვა ქარხნებზე.

ტრანსპორტირება ალბათ არ გაგვიჭირდება. გამზადებულ პროდუქციას იმავე ტრანსპორტით შემოვიტანთ, რითაც დღეს ნავთობი შემოგვაქვს. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, ერთია დაუმუშავებელი ნავთობი, ხოლო მეორე — მზა პროდუქცია. რესპუბლიკა დღენიადაგ უნდა იყოს სხვა ნავთობგადასამუშავებელი ქარხნების შემყურე.

ერთი სიტყვით, დღეს საკითხი ასე დგას: რა უფრო ხელსაყრელია, ქარხნის დანგრევა თუ მისი შენარჩუნება?

დამეთანხმებით, ძნელი გადასაწყვეტია. ბუნებრივია, ამ საკითხის ირგვლივ არ შეიძლება მხოლოდ ერთი აზრი, ერთი პოზიცია იყოს.

იქნებ მესამე გზაც გამოინახოს? ვთქვათ, ისეთი თანამედროვე ქარხნის აშენება, რომელიც არამცთუ ნორმით გათვალისწინებულ, ნორმის ქვემოთაც კი არ გამოყოფს მავნე მინარევებს, ოდნავადაც არ გააჭუჭყიანებს არც ზღვას, არც ხმელეთს და არც ჰაერს?

სწორედ ამ გზით წავიდნენ ქარხნის დირექცია და სათანადო ორგანოები. შედგა ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის ძირეული რეკონსტრუქციის პროექტი. თუ უფრო ზუსტად ვიტყვით, ახალი ქარხნის ასაშენებელი პროექტი.

ქარხნის სარეკონსტრუქციოდ გამოიყო 118,6 მილიონი მანეთი. ქარხანა დაპროექტდა თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების სრული გათვალისწინებით, გამოთვლითი ტექნიკით, დისტანციური მართვით და ა. შ.

და აი, ქარხნის დირექტორი ა. ჩინჩალაძე, პარტბიუროს მდივანი რ. კონცელიძე და პროფკომიტეტის თავმჯდომარე ჯ. სულაძე მაცნობენ რეკონსტრუქციის შემდგომი, ფაქტობრივად ახალი ქარხნის გაკრიალებულ მაკეტს.

ყურადღებას ვთხოვთ!

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ბ. მახარაშვილს,

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. გ. ჩიგოგიძეს,

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ი. ჟორდანიას,

საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ვ. კაჭარავას,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს ამხ. ს. დურმიშიძეს.

პროექტის მიხედვით ყველაფერი კარგად არის, ყველაფერი რიგზეა. დაცულია სანიტარიული ზონა, ნავთობსადენი მილები მიწისქვეშ კი აღარ გავა, როგორც უწინ იყო, არამედ ჰაერში იქნება დამონტაჟებული. ამით თავიდან ავიცილებთ ნავთობის გაჟონვას ნიადაგში, იქიდან კი ზღვაში. მიწაში არ გვექნება საძებარი ავარიის კერები. ყველაფერს ვიზუალურად, ნათლად დავინახავთ, ღონისძიებებსაც უმალვე დავსახავთ. ძალზე შემცირდება გოგირდით ჰაერის გაჭუჭყიანების ზონაც. თვით ქარხნის ტერიტორია შემცირდება 35 ჰექტარით, სხვანაირად ირგვლივ შემოვლებულ სხვა საწარმოებს შორის ჩაჭედილ ქარხანას ვერ შევუქმნით სანიტარიულ ზონას. მაშ რაღაა სადავო? რატომ ვამტვრევთ ღია კარებს? — ამბობენ ქარხნის ხელმძღვანელები და კვლავ ხაზს უსვამენ, რომ პროექტი შესრულებულია სამამულო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის გათვალისწინებით, მის ტექნიკურ გადაწყვეტას მაღალ შეფასებას აძლევს ჟურნალი „ხიმია ი ტეხნოლოგია ტოპლივ ი მასელ" (№ 1, 1987 წ.).

ქარხნის რეკონსტრუქციის განხორციელებით ერთბაშად გაკეთდება ორი დიდი საქმე — რესპუბლიკას არ გაურთულდება ნავთობპროდუქტებით მომარაგება და ქარხანა დღის წესრიგიდან მოხსნის ყოველგვარ ეკოლოგიურ პრობლემას!

სამწუხაროდ, ასე როდია საქმე!

ჩვენს ხელთაა სპეციალისტების მოსაზრებანი, რომლებიც მუშაობენ ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის რეკონსტრუქციის (ანუ, როგორც წეღან ვთქვით, ფაქტობრივად, ახალი ქარხნის) პროექტის საექსპერტო დასკვნების გამოსატანად.

თავშივე ვიტყვი, ამ სპეციალისტთა მოსაზრებების უდიდეს ნაწილს არ იზიარებენ ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის ხელმძღვანელები და ეს არც არის გასაკვირი.

მომავალი საექსპერტო დასკვნის მონახაზში, რომელიც უნდა შეადგინოს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა ზემდგომი ორგანოების მითითებით, ძალზე ბევრ წვრილმან და მსხვილმან საკითხზეა მსჯელობა. მე მხოლოდ უმთავრეს, პრინციპულ მომენტებზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას.

დავიწყოთ ასათვისებელი თანხებით. ზემოთ უკვე ვთქვი, რომ ქარხნის რეკონსტრუქცია დაჯდება 118,6 მილიონი მანეთი.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ 7 მილიონ მანეთამდე უკვე ათვისებულია. პირველ რიგში შესრულდა ისეთი სამუშაოები, რომელთა გადადება არაფრით არ შეიძლებოდა. ამიტომაც ამ სამუშაოებს იმდენად რეკონსტრუქციასთან არა აქვს კავშირი, რამდენადაც მიმდინარე რემონტთან.

ერთი სიტყვით, ასათვისებელი დარჩა 112-113 მილიონი მანეთი... აქედან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თანხა შეადგენს 70,2 მილიონ მანეთს.

ქარხანას არა აქვს სამშენებლო მოედანი. ეს ძალზე ართულებს საქმეს, ქმნის დამატებით ეკოლოგიურ პრობლემებს, ვინაიდან ძველის დანგრევა და ახლის აშენება უნდა მოხდეს ეტაპურად.

ვარაუდობენ, რომ ქარხნის პირველი რიგის მშენებლობა დამთავრდება 1990 წელს, მეორე რიგისა კი 1995 წელს. ერთი სიტყვით, დარჩენილი 112 მილიონი მანეთი უნდა ავითვისოთ 8 წელიწადში. ე. ი. წელიწადში საშუალოდ 12 მილიონი მანეთი.

აქვე ჩნდება პირველი ეჭვი და არცთუ უსაფუძვლო. რომელი სამშენებლო ტრესტი აითვისებს ამ თანხას? ბათუმის № 5 სამშენებლო ტრესტი ამ სამუშაოებს ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეასრულებს.

ამას წინათ გაზეთი „კომუნისტი" გვაუწყებდა, რომ აჭარის რესპუბლიკური საავადმყოფოს მშენებლობა უკვე ექვსი წელია მიმდინარეობს და ამ პერიოდში 8 მილიონი მანეთის ნაცვლად ძლივს აუთვისებიათ ორმილიონ-ნახევარი მანეთი! როგორ აითვისებენ ისინი წელიწადში ქარხნის სარეკონსტრუქციო 12 მილიონ მანეთს?!

ე. ი. დაგვრჩა ერთი გამოსავალი: უნდა შევქმნათ ახალი სამშენებლო სამმართველო თუ ტრესტი, მისი შექმნა კი ურთულეს პრობლემებთან არის დაკავშირებული.

ახლა ვიმსჯელოთ თვით პროექტის ზოგიერთ, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვან ნაკლზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 16 ივლისის დადგენილებით, პროექტების ხარისხისადმი კონტროლის გაძლიერების მიზნით მისი ტექნიკური დონის შესაფასებლად აუცილებელია შედარებითი ტექნიკური დონის რუკების გაფორმება. ასეთი რუკა ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის სარეკონსტრუქციო პროექტს არა აქვს.

რეკონსტრუქციის პერიოდში გათვალისწინებულია ნარევი ნავთობის გადამუშავება გოგირდიანობის შემცირების მიზნით. მაგრამ, ვინაიდან დღესდღეობით ქარხანას არ გაჩნია სათანადო რეზერვუარები, გოგირდოვანი და დაბალგოგირდოვანი ნავთობის ერთმანეთში არევა შეუძლებელია. პირველი რიგის რეკონსტრუქციისას ნავარაუდევია 2 რეზერვუარის გაშვება. თითოეულის მოცულობა 50.000 ტონა იქნება. ესეც გარკვეულ სირთულეებს შექმნის, ვინაიდან თითოეული ტანკერის მოცულობა 50-70 ათასი ტონაა.

თავში უკვე ვთქვით, რომ ნავთობის სამი მეოთხედი უნდა შემოზიდონ ზღვიდან. ბათუმის ნავსადგურის განტვირთვისა და სხვა ტექნიკური საკითხების გადაწყვეტის მიზნით თვითონ ქარხნის პირდაპირ უნდა აშენდეს ახალი გემმისადგომი. მისი აშენება 24,74 მილიონი მანეთი დაჯდება.

ტანკერების მიერ ბალასტირებული წყალი იქვე უნდა იქნეს ამოღებული. შემდეგ უნდა მოათავსონ ორ ფოლადის რეზერვუარში. თითოეულის მოცულობა იქნება 200 კუბური მეტრი. შემდგომ ცისტერნიანი მანქანებით უნდა გადაზიდონ ქალაქის გამწმენდ ნაგებობაში გასაწმენდად. მაპატიონ დამპროექტებლებმაც და ქარხნის ხელმძღვანელებმაც, თუ ვერ ვირწმუნებ პროექტის ამ ნაწილს. იმდენად რთულია ბალასტირებული წყლის ცისტერნიანი მანქანით გატანის პროცესი, ვერ დავიჯერებ, რომ ისინი ამას შეძლებენ სუფთად, ქალაქის დაუნაგვიანებლად. არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ ბალასტირებული წყლის მანქანებით გადაზიდვა მოხდება კეთილსინდისიერად.

დამეთანხმებით, ჯობდა პროექტში თავიდანვე გაეთვალისწინებინათ მილგაყვანილობა, რომლითაც ჭუჭყიან წყალს პირდაპირ გადატუმბავენ გამწმენდ ნაგებობაში. დამპროექტებელთა ასეთი გადაწყვეტილება გახლავთ „შესანიშნავი" ნიმუში გაუმართლებელი ეკონომიისა.

დაახლოებით 12 ჰექტარი მიწა მჟავე გუდრონითა და სხვა საწარმოო ნარჩენებით არის გაბინძურებული. პროექტი არ ითვალისწინებს მათ გაწმენდას. სამწუხაროდ, არც ქარხნის გამოთავისუფლებული ფართობის გაკულტურებაა გათვალისწინებული.

საეჭვოდ მიაჩნიათ ნავთობის ღრმად გადასამუშავებელი კომბინირებული დანადგარის ГК-5-ის აშენება-დამონტაჟება. ГК-5 წარმოადგენს ГК-3-ის გადიდებულ ვარიანტს თავისი ავტომატიზაციით, გამოთვლითი ტექნიკით და დისტანციური მართვით. დანადგარი განუწყვეტელი ციკლით მუშაობს, რაც თავისთავად კარგიც არის და ცუდიც. კარგია, როცა ქარხანაში რამდენიმე ასეთი დანადგარია, ვთქვათ, სამი ან ოთხი, ცუდია, როცა ქარხანაში მხოლოდ ერთი დანადგარია. ბათუმის ქარხანაში კი მხოლოდ ერთი დანადგარი აშენდება-დამონტაჟდება, რადგან ერთი ГК-5-ის სიმძლავრე ოდნავ მეტიც კია ბათუმის ქარხნის სიმძლავრეზე. ავარიის დროს, როცა დანადგარი გაჩერდება, ფაქტობრივად მთელ ქარხანას მოუწევს გაჩერება, რაც დამატებითს სიძნელეებს შეუქმნის ნავთობპროდუქტების წარმოებას. ყოველივე ამას თან ერთვის ერთი მომენტიც: მიუხედავად იმისა, რომ მისი ნაწილები გამოცდილია, ჯერჯერობით მაინც არ არის სათანადოდ შესწავლილი ГК-5-ის ექსპლოატაციის შედეგები.

საბრუნავ წყალმომარაგებაზე გადასვლის შემდეგ საგრძნობლად შემცირდება ქარხნისათვის სუფთა წყლის მიწოდება. წყლის საბრუნავი ნაგებობის პირველი რიგი უკვე გაშვებულია. იგი დღე-ღამეში აბრუნებს 40 ათას კუბურ მეტრ წყალს. მიმდინარე წელს მეორე ნაგებობაც ჩადგება მწყობრში და დაბრუნებული წყლის რაოდენობა დღე-ღამეში 120 ათას კუბურ მეტრს მიაღწევს.

პროექტის მიხედვით, დღე-ღამეში კონცენტრირებული ჭუჭყიანი წყლის რაოდენობა იქნება 23 ათასი კუბური მეტრი. იგი უნდა გადაისროლონ ქალაქის გამწმენდ ნაგებობაში. რატომ ქალაქის და არა საკუთარ გამწმენდ ნაგებობაში? — იკითხავს კაცი. სამწუხაროდ, პროექტის ავტორები არ ითვალისწინებენ ქარხნის საკუთარი გამწმენდი ნაგებობის აშენებას. პროექტში ეს გადაწყვეტილება იმით არის „გამართლებული", რომ ქარხნის ტერიტორიაზე 35 ჰექტარის გამოთავისუფლების შემდეგ ძალზე დიდი სივიწროვე იქნებაო. სამწუხაროდ, ქალაქში არსებულ გამწმენდ ნაგებობას, მართალია, დღესდღეობით აქვს თავისუფალი სიმძლავრე, მაგრამ იმიტომ, რომ ყველა საწარმო არ არის მასთან შეერთებული. და თუ მას დაემატება ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის 23 ათასი კუბური მეტრი გაჭუჭყიანებული წყალი, ზღაპარს ემსგავსება მისი საბოლოო გაწმენდა.

წეღან ვთქვით, რომ რეკონსტრუქციის პროექტი არ ითვალისწინებს არც გამოთავისუფლებული ტერიტორიის გაკულტურებას და არც იმ 12 ჰექტარის გასუფთავებას, მჟავე გუდრონის ტბორებს რომ უკავია. არც არის გასაკვირი. ეს ისეთი რთული პროცესია, რომ ქარხანა თავისი ძალებით ვერავითარ შემთხვევაში ვერ შესძლებს ამ ურთულესი სამუშაოსათვის თავის გართმევას. სათანადო ზემდგომი ორგანოების დავალებით ქ. უფაში სპეციალისტები შეუდგნენ მჟავე გუდრონების ამოღებისა და გამოყენების ტექნოლოგიის დამუშავებას. მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მსგავსი ბრძანება ჯერ კიდევ 30 წლის წინათ გასცეს, საქმე კი დღემდე ერთი ნაბიჯითაც არ წასულა წინ. მჟავე გუდრონები ატმოსფეროს ძალზე აჭუჭყიანებენ კანცეროგენული ნივთიერებებით, პარალელურად მიწისქვეშა დინებებს პირდაპირ შეაქვთ იგი ზღვაში. (ამის თაობაზე გაზეთმა „პრავდამ" თავის 7 თებერვლის ნომერში გამოაქვეყნა გ. ლებანიძის საინტერესო სტატია).

საპროექტო გაანგარიშებით ქარხნის წლიური დანაკარგები შეადგენს 232 ათას ტონა ნავთობს. რეკონსტრუქციის პირველი რიგის მშენებლობის დამთავრების შემდეგ იგი 36 ათასი ტონით შემცირდება, მეორე რიგის მწყობრში ჩადგომის შემდეგ კი კიდევ 45 ათასი ტონით. პროექტში არ არის ნაჩვენები და ჩვენ კი ძალიან გვაინტერესებს დანარჩენი 151 ათასი ტონა ნავთობის ბედი. სად დაიკარგება იგი და როგორ? რას დაანაგვიანებს იგი — ზღვას, მიწას თუ ორივეს ერთად?

პროექტის მიხედვით რეკონსტრუქციის შემდეგ ჰაერში გაიფრქვევა 14,7 ათასი ტონა მავნე ნივთიერებანი წელიწადში.

სახელმწიფო ნორმატივებით იმ წარმოებებისათვის, რომლებიც ატმოსფეროში აფრქვევენ გოგირდწყალბადს, გოგირდის ანჰიდრიდს, ნახშირჟანგს, აზოტის ჟანგეულებს და ნახშირწყლებს, სანიტარიული ზონა 1000 მეტრი მაინც უნდა იყოს. ბათუმის ქარხანაში კი პროექტის მიხედვით სანიტარიული ზონა მხოლოდ 500 მეტრია და ამის მიხედვითაა გაკეთებული ტექნოლოგიური და ეკონომიკური მაჩვენებლები.

საქართველოს სახმშენმა და მინისტრთა საბჭომ თავის დროზე განიხილეს სანიტარიული ზონის რადიუსი (1985 წ. 22.III). მაშინ გაანგარიშება მოხდა დაბალგოგირდიან ნავთობზე. ხოლო ახლა, როცა ქარხანა გადადის გოგირდიანი ნავთობის დამუშავებაზე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ უმალვე მიიღო მკაცრი გადაწყვეტილება, სანიტარიული ზონის 1000 მეტრამდე გაზრდის თაობაზე, რაც დაუყოვნებლივ ეცნობა ქარხნის დირექციას (22.I.88). სამწუხაროდ, სანიტარიული ზონის რადიუსის 1000 მეტრამდე გაზრდა შეუძლებელია ბათუმის ქარხნის პირობებში.

არ არის გათვალისწინებული ისიც, რომ გოგირდიანი ნავთობის გადამუშავებისას გამოყოფილი ზემოთ ჩამოთვლილი ნივთიერებანი სხვა საშინელ თვისებებთან ერთად ძალზე აგრესიული კოროზიული გაზებია. ქარხანაში ვერავითარი ჰერმეტიზაცია ვერ იქნება ეფექტიანი, რადგან პროექტში არ არის გათვალისწინებული ანტიკოროზიული დაცვა. ამიტომ, ბუნებრივია, დროთა განმავლობაში მოსალოდნელი იქნება ატმოსფეროს გაჭუჭყიანების ინტენსიურობის ზრდა.

არსებული რეკონსტრუქციის პროექტის პირველი რიგის მშენებლობანი საერთოდ არ ითვალისწინებს სპეციალურ კოროზიასაწინააღმდეგო ღონისძიებებს. ეს კი ძალზე დამაფიქრებელია, რადგან ყველა [illegible]დურებს, ზემოთ რომ ვთქვით, ემატება ზღვის მარილების შემცველი ნესტიანი სუბტროპიკული კლიმატი.

აღარ გავაგრძელებ რეკონსტრუქციის პროექტის ძირეულ განხილვას. იმ მაგალითებიდანაც, რომელიც უკვე განვიხილეთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რეკონსტრუქციის პროექტში ყველაფერი ვერ არის რიგზე.

რასაკვირველია, არ გამოვრიცხავთ, რომ ამ წერილს უპასუხებენ, საკმაო მეცნიერულ არგუმენტაციასაც დაახვავებენ, მაგრამ ფაქტი ერთია: პროექტს ბევრი სუსტი წერტილი აქვს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ახალი ქარხნის დაპროექტების დროს საერთოდ არ გაუთვალისწინებიათ, სად და რა პირობებში უნდა იმუშაოს ქარხანამ.

სამწუხაროდ, იშვიათი როდია შემთხვევა, როცა დამპროექტებლები ლამაზი სიტყვებით გვამშვიდებენ, საწარმოს პროექტს ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის გათვალისწინებით ვქმნითო, მაგრამ აშენდება საწარმო და... ძალზე სერიოზული შეცდომები ქარხნის ექსპლოატაციის პირველი დღიდანვე იჩენს ხოლმე თავს.

მაგალითად, სულ ახლახან „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიაში" (7.1.88) დაიბეჭდა წერილი სათაურით „ტროას ცხენი ნიჟნი ტაგილში". სტატიაში ვკითხულობთ: „დამპროექტებლები გვარწმუნებდნენ, რომ მეათე საკოქსო ბატარეა შენდება ეკოლოგიური თვალსაზრისით გაცილებით თანამედროვე ტექნოლოგიითო იგი შეამცირებს ატმოსფეროში მტვრის გამოფრქვევას მეოთხედით, ამიაკისას — მესამედით, ხოლო ნახშირორჟანგისას თითქმის სანახევროდო... მაგრამ საწმენდი ნაგებობანი ვერ აღმოჩნდა ეფექტიანი დაპროექტების (ხაზგასმა ჩემია. გ. ფ.) და მშენებლობის დაბალი ხარისხის გამო".

ამ წერილიდან მეტ ნაწყვეტს აღარ მოვიყვან, მხოლოდ ამოვწერ ერთ მწარე ფრაზას: „დამპროექტებლების ავანტიურისტული გადაწყვეტილებანი".

არ მინდა, იგივე ფრაზა ვიხმარო ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის რეკონსტრუქციის პროექტის ავტორების მიმართ. ეს უბრალოდ აღემატება ჩემს კომპეტენციას.

ოღონდ, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, რამდენიმე დასკვნა კი მინდა გავაკეთო:

1. ქარხნის რეკონსტრუქციის პროექტს ბევრი რამ აკლია სრულყოფამდე. როგორც უკვე ვთქვით, ჯერ არ ვიცით, რამდენად ხელსაყრელია ქარხნისათვის ГК-5 კომპლექსზე გადასვლა. არ ვიცით, როგორ იმუშავებს იგი გოგირდიანი ნავთობის გადამუშავებისას (გოგირდის მიახლოებითი მოსალოდნელი შემცველობაა 1,4—1,7 პროცენტი). სახიფათოა დანადგარის უწყვეტი ტექნოლოგიური ციკლიც. ქარხანაში ხომ მხოლოდ ერთი კომპლექსი იქნება. ამიტომაც რაიმე წვრილმანი ავარიაც კი გამოიწვევს მთელი ქარხნის გაჩერებას. პროექტში არ არის გათვალისწინებული ანტიკოროზიული და ანტიკლიმატური ღონისძიებები. ბათუმში ჰაერის ტენიანობა მაღალია, თანაც ტენში დიდია ზღვის მარილების შემცველობა.

არ არის გათვალისწინებული შესაბამისი სანიტარიული ზონა, საჭირო გამწმენდი ნაგებობანი. არ არის გათვალისწინებული ქარხნის ტერიტორიის მჟავე გუდრონებისაგან გაწმენდა, გამოთავისუფლებული ტერიტორიის გაკულტურება. კარგად არ გვაქვს გაანალიზებული, როგორ ვებრძოლოთ ცისტერნებიდან დანაკარგებს, რას მოგვიტანს ახალი გემმისადგომის მშენებლობა. არ არის ნაანგარიშევი, რა დამატებითს სიძნელეებს შეგვიქმნის ქარხნის ერთდროული ექსპლოატაცია და მშენებლობა ეკოლოგიური თვალსაზრისით.

2. ქარხნის მოგება ამჟამად დაახლოებით 10 მილიონ მანეთს შეადგენს. იგი რეკონსტრუქციის პერიოდში კიდევ უფრო შემცირდება. საინტერესოა, რითი აპირებენ ისინი რეკონსტრუქციას? ახალ პირობებში ფული ან ცენტრალიზებული ფონდიდან უნდა მიიღონ, ან თვითდაფინანსებითი მოგებიდან, რაც ძალიან ძნელია.

3. ვინ განახორციელებს ქარხნის რეკონსტრუქციას, ვინ აითვისებს 1995 წლამდე 118,6 მილიონ მანეთს? წელიწადში რამდენი მილიონი მანეთი შეუძლია აითვისოს ბათუმის № 5 სამშენებლო ტრესტმა? დღევანდელი პირობების მიხედვით, მშენებლობა ოც წელს მაინც გაგრძელდება. ასევე ოც წელს გაგრძელდება ზღვისა და ჰაერის კიდევ უფრო ინტენსიური მოწამვლაც.

რეკონსტრუქცია რომ განსაზღვრულ ვადებში დამთავრდეს, საჭიროა მძლავრი სამშენებლო ბაზის შექმნა, რუსეთიდან მემონტაჟეების მოწვევა, რაც ძალზე დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

4. რეკონსტრუქციის პერიოდში ქარხანამ მაინც უნდა შეინარჩუნოს თავისი სიმძლავრე, ეს ძალზე გაართულებს საქმეს. მოსალოდნელია ავარიები, ხანძრები, ზღვისა და ატმოსფეროს ინტენსიური მოწამვლა და ქარხნის ხანგრძლივად მწყობრიდან გამოსვლა.

5. ღირს კი საერთოდ ამ ქარხნის რეკონსტრუქცია, ფაქტობრივად ახალი ქარხნის აშენება? ღირს კი ამ ულამაზესი კუთხის გაბინძურება-დანაგვიანება? ღირს, რომ ჩვენი დიადი ქვეყნის ათიათასობით დამსვენებელს დავუკარგოთ ბათუმი, მახინჯაური, მწვანე კონცხი და ქობულეთი, უმშვენიერესი შავი ზღვა? დღეიდან ხომ ვეღარავის დავუმალავთ, რომ იქ ზღვის დანაგვიანება ოცჯერ და მეტად აღემატება დასაშვებ ნორმას, რომ ზღვის დაჭუჭყიანებას დაემატა ჰაერის გოგირდით მოწამვლაც? გოგირდის შემხუთველი გაზი უკვე მწვავედ იგრძნეს ბათუმის, მახინჯაურისა და მწვანე კონცხის მცხოვრებლებმაც და დამსვენებლებმაც. გადაყვითლდა ყანები და პლანტაციები თამარასა და ბარცხანაში. და ეს ხდება მაშინ, როცა ქარხანა ჯერჯერობით არ არის გადასული გოგირდიანი ნავთობის გადამუშავებაზე. მომავალში რაოდენ საშიშროებასთან გვაქვს საქმე, მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ რეკონსტრუქციის პროექტის მიხედვით მომავალში სპეციალური დანადგარებით უნდა დავიჭიროთ და მივიღოთ წელიწადში 16 ათასი ტონა ელემენტარული გოგირდი.

ვფიქრობ, გამართლებული იქნება, თუ ავიღებთ ხელს ქარხნის რეკონსტრუქციაზე, თანდათანობით შევამცირებთ ნავთობის გადამუშავებას და რამდენიმე წელიწადში საერთოდ შევწყვეტთ ქარხნის ექსპლოატაციას. ასევე თანდათანობით უნდა გაიზარდოს ნავთობპროდუქტების შემოტანა რესპუბლიკაში ძირითადად გროზნოდან და ბაქოდან, რომელთა ქარხნებშიც არის თავისუფალი სიმძლავრეები. ბაქოდან ნავთობპროდუქტების შემოტანა შეიძლება სპეციალური სადენებით. ამით ამიერკავკასიის რკინიგზაც განიტვირთება ცისტერნებისაგან. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნავთობპროდუქტების 70 პროცენტი უნდა დარჩეს აღმოსავლეთ საქართველოში, 30 კი გადაიგზავნება დასავლეთ საქართველოში. როცა ამ წინადადებას ვაყენებ, არ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება არსებობდეს სხვა გამოსავალიც, სხვა მოსაზრება. ვნახოთ, შევაჯეროთ ერთმანეთს ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები, ავწონ-დავწონოთ ყოველივე, და ისეთი გადაწყვეტილება მივიღოთ, რომელიც სრულად შეესაბამება საქმის, რესპუბლიკის, ჩვენი ხალხის ინტერესებს.

ჩემი წერილი მინდა დავამთავრო ერთი პატარა ნაწყვეტით სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებიდან „ქვეყანაში ბუნების დაცვის საქმის ძირეული გარდაქმნის შესახებ": „მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს წინადადება მიეცათ გააძლიერონ ყველა საწარმოს და ორგანიზაციის საქმიანობის კოორდინაცია ბუნების დაცვისა და ბუნებათსარგებლობის დარგში, ამასთან გაითვალისწინონ, რომ **რესპუბლიკური და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს ეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა შესაბამის რეგიონებში ეკოლოგიური ვითარებისათვის**". (ხაზგასმა ჩემია — გ. ფ.).

არის ობიექტები, რომელთა მშენებლობის თუ რეკონსტრუქციის დროს შეცდომის დაშვების უფლება არა გვაქვს, ჩემის ღრმა რწმენით სწორედ ასეთი ობიექტების რიგს მიეკუთვნება ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა!

გურამ ფანჯიკიძე.

ხელმეორედ ვბეჭდავთ „კომუნისტის" 1987 წლის 10 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ ფოტოსურათებს: ეს მაზუთის „ღელე" გოგებაშვილის ქუჩასთან ჩაედინება; ასეა გაჭუჭყიანებული სატვირთო სადგურის ვაგონების სამრეცხაო უბანი.

უცხოეთში

საკდესი იუწყება
10 თებერვალი

დამაიმედებელი შედეგები

დიეგო კორდოვესის პრესკონფერენცია

ისლამაბადი. აქ გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენლის დიეგო კორდოვესის პრესკონფერენცია რეგიონში მისი იმ ვიზიტის შედეგების შესახებ, რომლის მიზანი იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შუამავლობით ავღანეთ-პაკისტანის ჟენევის მოლაპარაკების მორიგი რაუნდის მომზადება.

კორდოვესმა პოზიტიურად შეაფასა ავღანეთისა და პაკისტანის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების შედეგები, ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეძლო წარმატებით გადაეწყვიტა მის, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შუამავლის, წინაშე დასახული ამოცანები. მისი აზრით, კარგად მომზადდა ჟენევის მოლაპარაკების ახალი რაუნდი, რომელიც მიმდინარე წლის 2 მარტს დაიწყება.

მხარეებს შორის, როგორც კორდოვესმა თქვა, მიღწეულია გაგება ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანის გრაფიკისა და შეთანხმების შესრულებისადმი კონტროლის უზრუნველყოფის თაობაზე. მან აღნიშნა: მხარეები შეთანხმდნენ აგრეთვე, რომ საბჭოთა ჯარების ძირითადი ნაწილი უნდა გამოიყვანონ შეთანხმების მოქმედების საწყის ეტაპზე. დაგეგმილია, რომ მოლაპარაკების მომავალი რაუნდის დროს შეიმუშაონ საბჭოთა ჯარების გამოყვანისა და ამ პროცესისადმი კონტროლის ორგანიზაციის პრაქტიკული პირობები და თვით მექანიზმი. კონტროლის საკითხი განმტკიცებულია ცალკე დოკუმენტით, რომელსაც დაემატება კონკრეტული დებულებანი ჯარების გამოყვანის შესახებ და მას ხელს მოაწერენ ძირითად შეთანხმებასთან ერთად. მან თქვა, რომ დარჩენილი საკითხები დეტალურად დამუშავდება და ზუსტად იქნება აღნიშნული საბოლოო დოკუმენტებში.

შეეხო რა ავღანეთის გარშემო ვითარების მოწესრიგების შესახებ სსრ კავშირის პოზიციას, კორდოვესმა განაცხადა, რომ იგი გრძნობს საბჭოთა ხელმძღვანელის ახალ მიდგომას ავღანეთის საკითხისადმი.

კორდოვესმა შემდეგ უპასუხა ჟურნალისტთა კითხვებს და აღნიშნა: ამ ეტაპზე არის საერთო გაგება იმისა, რომ საჭიროა შეიქმნას ავღანეთის მთავრობა, რომელშიც ფართოდ იქნება წარმოდგენილი ავღანელი ხალხის ყველა ფენა. გარდა ამისა, მომავალი მთავრობის შექმნის საკითხი მხოლოდ ავღანელებმა უნდა გადაწყვიტონ.

როგორც კორდოვესმა თქვა, რეგიონში მისი ყოფნის დროს არსებული ძირითადი სიძნელენი დაკავშირებულია ღრმა ურთიერთუნდობლობის დაძლევასთან. მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი დაწვრილებით შემუშავებულიყო მომავალი შეთანხმების პროექტი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პირადმა წარმომადგენელმა თქვა, რომ ამერიკელები შეგვპირდნენ, შეერთებული შტატები მხარს დაუჭერს დოკუმენტების უკვე შემუშავებულ პროექტებსო. შეთანხმების პროექტის დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ მასში გათვალისწინებულია ცვლილებების შეტანისა და რეაგირების მექანიზმის ამოქმედების შესაძლებლობანი მიღწეულ მორიგებათა დარღვევის შემთხვევაში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ხაზგასმით აღინიშნა დასასრულ კორდოვესმა, კვლავ მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ჟენევის შეთანხმების რეალიზაციის ეტაპზეც.

● ვიეტნამი

გმობენ ტაილანდის აგრესიულ გამოხდომებს

ჰანოი. ლაოსის წინააღმდეგ ტაილანდის უკიდურესად რეაქციული წრეების მიერ მოწყობილი აგრესიული გამოხდომები ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის არა მარტო უხეში დარღვევაა, არამედ სერიოზულ საფრთხესაც უქმნის მშვიდობასა და სტაბილურობას რეგიონში. ეს ნათქვამია აქ გავრცელებულ ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებაში.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ტაილანდის განცხადება, სადავო სასაზღვრო საკითხები ძალის გამოყენების გზით გადაწყვიტოს, მოწმობს, რომ ბანგკოკში, წინანდებურად აქვთ ტერიტორიული პრეტენზიები ლაოსის მიმართ. ამ ამბიციებს განზრახ აღვივებენ საერთაშორისო რეაქციის ძალები, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ ხელი შეუშალონ დიალოგის ტენდენციის განვითარებას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ტაილანდის მმართველი წრეების მოქმედება ეწინააღმდეგება ტაილანდელი და ლაოსელი ხალხების ინტერესებს, ხაზგასმულია სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებაში.

ვიეტნამი გულისწყრომით გმობს ტაილანდის აგრესიულ გამოხდომებს ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ და მოითხოვს მათ დაუყოვნებლივ შეწყვეტას. ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა მხარს უჭერს ლაოსელი ხალხის სამართლიან ბრძოლას სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის კურსს, რომლის მიზანია ტაილანდთან ორმხრივი ურთიერთობის საკითხების მშვიდობიანი მოწესრიგება კეთილმეზობლობისა და ლაოს-ტაილანდის 1979 წლის ერთობლივი განცხადების ძირითადი პრინციპების სულისკვეთებით.

◆ საბერძნეთი-თურქეთი

ახალი ერა ურთიერთობაში

ათენი. საბერძნეთ-თურქეთის ურთიერთობაში ახალი ერა, თავდაუსხმელობის ერა უწოდა საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა ანდრეას პაპანდრეუმ თავის შეხვედრას თურქეთის მთავრობის მეთაურთან თურგუთ ოზალთან, რომელიც ამას წინათ შვეიცარიის ქალაქ დავოსში გაიმართა.

ათენში მმართველი პარტიის — სრულიად საბერძნეთის სოციალისტური მოძრაობის პარლამენტართა წინაშე გამოსვლისას, მან განაცხადა — შეხვედრის მნიშვნელობა ის არის, რომ მიღებულია გადაწყვეტილება ერთმანეთში პროვოკაციულად არ გამოიწვიონ სამხედრო კონფლიქტი.

პაპანდრეუმ თქვა, რომ შეხვედრის დროს მან ოზალს შესთავაზა განახორციელონ კვიპროსის დემილიტარიზაცია, გამოიყვანონ საოკუპაციო ჯარები და ამასთან დაითხოვონ კვიპროსის ეროვნული გვარდია, ხოლო შემდეგ შექმნან ერთიანი საპოლიციო ძალები პროპორციულობის საფუძველზე. საბერძნეთის პრემიერ-მინისტრის თქმით, ოზალმა ამ წინადადებაზე კონკრეტულად არაფერი უპასუხა. თუმცა, პაპანდრეუს აზრით, იგი მას არ უარუყვია.

◆ იტალია

„ჩელენტანოს საქმე“ გრძელდება

რომი. პოპულარულ იტალიელ მსახიობსა და მომღერალს ადრიანო ჩელენტანოს 5 წლამდე პატიმრობა ელის. მას ბრალად ედება „მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებებისა“ და არჩევნების შესახებ კანონის დარღვევა.

შარშან, 7 ნოემბერს ტელევიზიით იუსტიციისა და ბირთვული ენერგიის გამოყენების პრობლემებზე საერთო-ეროვნული რეფერენდუმების წინადღით გამოსვლისას, ჩელენტანომ იტალიელებს მოუწოდა ბიულეტენებში ჩაეწერათ „ჩვენ ნადირობის წინააღმდეგი ვართ“. ასეთი წარწერები, რომლებსაც საერთო არა ჰქონდათ რა რეფერენდუმების საკითხებთან, მართლაც გაჩნდა კენჭისყრის ზოგიერთ ბლანკზე. იტალიის კანონმდებლობის თანახმად, საერთო-ეროვნული კენჭისყრის წინადღეს აკრძალულია პროპაგანდისტული საქმიანობა. ჩელენტანომ დაარღვია ეს კანონი. „ჩელენტანოს საქმის“ გამოძიება, ერთი შეხედვით ამ მოვლენის მცირე მნიშვნელობის მიუხედავად, რომის პროკურატურამ რეფერენდუმის მეორე დღეს დაიწყო. სახელმწიფო რადიო-სატელევიზიო კომპანიის დირექციამ იგი 200 მილიონი ლირით დააჯარიმა. თითქოს ამის შემდეგ საქმე უნდა დახურულიყო. ცნობა, რომ რომის პროკურატურამ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადასცა საქმე, ყველასთვის მოულოდნელი იყო. ფიქრობენ, რომ პროცესი გაზაფხულზე დაიწყება.

შემთხვევა

დაკარგეს... „ტრაიდენტის“ ნაწილი

ლონდონი. ძნელი დასაჯერებელია შემთხვევა, რომელსაც იტყობინება ბრიტანეთის უდიდესი სამხედრო გემთსაშენის „ვიკერსის“ წარმომადგენელი. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: გასულ პარასკევს გემთმშენებლებმა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, დაკარგეს ერთ-ერთი ბირთვული წყალქვეშა ნავის „ტრაიდენტის“ ნაწილი. როგორც „ვიკერსის“ წარმომადგენელმა განაცხადა, წყალქვეშა ნავის 60-ტონიანი სექცია, რომელიც ახლა დიდ ბრიტანეთში მშენებარე წყალქვეშა ნავებიდან მესამეა და განკუთვნილია ბირთვული წყალქვეშა ფლოტის ხელახალი აღჭურვისათვის... დაცურდა ხომალდ „სკილინგ როკის“ გემბანიდან, როცა იგი აღელვებულ ზღვაში გლაზგოდან ინგლისის ჩრდილოეთით ბაროუ-ინ-ფერნესის სამხედრო-საზღვაო ბაზისაკენ მიცურავდა.

პლანეტის „ცხელი წერტილები“

კონტრასები თავს არიდებენ დიალოგს

ნიუ-იორკი. სომოსელმა თავკაცებმა გამოაცხადეს, რომ მათი დელეგაცია არ გამოცხადდება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე ნიკარაგუის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებაზე, რომელიც ამ კვირაში გვატემალის დედაქალაქში უნდა გამართულიყო.

ეს გადაწყვეტილება, იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტო, მიიღო კონტრასების „დირექტორატმა“ იმის გამო, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ უარი თქვა მათთვის ფინანსური დახმარების მიცემაზე“, რომელსაც რეიგანის ადმინისტრაცია მოითხოვდა.

კონტრრევოლუციონერ თა თქმით, რომლებმაც პრესკონფერენცია მოაწყვეს მაიამში, საქმე თითქოს ეხება მხოლოდ შერიგების შესახებ დიალოგის „დროებით გადადებას“, მაგრამ, ბევრი პოლიტიკური მიმომხილველის აზრით, სომოსელებს აშკარად სურთ მშვიდობიანი მოწესრიგების ჩაშლა, რათა ამერიკის შეერთებული შტატებისაგან მიიღონ ახალი ასიგნებანი ნიკარაგუის წინააღმდეგ ბინძური ომის განგრძობისათვის.

მანაგუა. ნიკარაგუის მთავრობა არ დაეთანხმა ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე მოლაპარაკების გადადებას. მანაგუაში გავრცელებულ მთავრობის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ კონტრასების თავკაცები დაბრკოლებების აღმართვის ტაქტიკას დაადგნენ, ვინაიდან მათ სინამდვილეში შერიგება კი არა, ნიკარაგუელი ხალხის წინააღმდეგ დანაშაულებრივი ომის განგრძობა სურთ.

მხატვრის კომენტარი



ნიკარაგუელი კონტრასი ტყვიამფრქვევს ისვრის. ვაზნების ლენტის ყუთზე წარწერაა: „ამერიკის დახმარება კონტრასებს“. ტყვიამფრქვევის „კაკანი პოპულარული ამერიკული სიმღერის მოტივს ჰგავს, სადაც არის ასეთი სიტყვები. „კარგ ნადირობას გისურვებ და ნახვამდის“.
ნახატი ინგლისურ ჟურნალ „ეკონომისტიდან“

თბილისის ქუჩების მესაიდუმლე და პოეტი

ახლახან მუშაობა დაასრულა საბჭოთა კავშირის მხატვართა VII ყრილობამ, რომლის დელეგატთა შორის იყო საქართველოს სახალხო მხატვარი, საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი დიმიტრი ერისთავი.

— მხატვართა ამ დიდ შეკრებას ყველანი იმედით ველოდით, — გვიამბობს მხატვარი, — თანამედროვე სახვითი ხელოვნების თეორიისა და პრაქტიკის უმნიშვნელოვანესი პრობლემების ირგვლივ მწვავე კამათი, რომელიც საკავშირო პრესის ფურცლებზე გაიმართა, ყრილობაზე პირუთვნელი, პრინციპული სჯა-ბაასის მოლოდინს აღძრავდა. და ეს საუბარი შედგა. გამომსვლელები აღნიშნავდნენ ჩვენს სამხატვრო ცხოვრებაში არსებულ ხარვეზებს, ცდილობდნენ აეხსნათ არაჯანსაღი შემოქმედებითი კლიმატის მიზეზები, მიუთითებდნენ საგამოფენო პოლიტიკის მანკიერებაზე, მხატვრებთან თანამშრომლობის ფორმალურ მეთოდებზე, ბიუროკრატიულ მოუქნელობაზე. საუბარი წარიმართა ესთეტიკური, ეთიკური, ფილოსოფიური ასპექტებით. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარის ელგუჯა ამაშუკელის გამოსვლა, რომელმაც მაღალი ზნეობრივი პოზიციებიდან ღრმად, ფილოსოფიურად გააშუქა ჩვენი შემოქმედებითი ცხოვრების ზოგიერთი მტკივნეული პრობლემა. ეს სიტყვა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა, და მე ყველას ვურჩევდი წაიკითხონ იგი.

ყრილობაზე ბევრს მსჯელობდნენ შემოქმედებითს თავისუფლებაზე, შემოქმედებითი ინდივიდუალობისადმი სათუთ დამოკიდებულებაზე. ჩვენი საზოგადოების დემოკრატიზაცია ფართო პერსპექტივას ხსნის სახვითი ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებათა განვითარებისათვის, ინდივიდთა ჯანსაღი შემოქმედებითი პაექრობისათვის. თუმცა, უსამართლონი ვიქნებით, თუ არ აღვნიშნავთ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში თავისუფალი შემოქმედებითი თვითგამოხატვის პირობები კარგა ხანია არსებობს, რაზეც მეტყველებს თუნდაც უკანასკნელ წლებში გამართული გამოფენები, მათ შორის ახალგაზრდა მხატვართა ექსპოზიციები, რომლებმაც ახალი თაობის დიდი შემოქმედებითი პოტენციალი დაგვანახვეს.

დრომ ახალი ამოცანები, ახალი პრობლემები წამოჭრა მხატვართა წინაშე. ჩვენი გარემომცველი სამყარო მნიშვნელოვნად გაფართოვდა დროსა და სივრცეში, მისი მხატვრული კვლევა მეტ ფილოსოფიურ სიღრმეს მოითხოვს. ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეს პრობლემები ოფიციალურ შეკრებებზე თეორიულ კამათში კი არ უნდა გადაწყდეს, არამედ პრაქტიკულად სახელოსნოში, შემოქმედებითს პროცესში. ამ შეგნებით საკუთარ, დიდსა თუ პატარა სახელოსნოებს მივაშურეთ.

დიმიტრი ერისთავი იმ მხატვართა რიცხვშია, ვინც გრაფიკის ენაზე თავისი დროის გამოხატვა შეძლო. არაერთხელ აღუნიშნავთ მისი ნამუშევრების საოცარი კინემატოგრაფიულობა. ერთ უწყვეტ მწკრივად დამონტაჟებული" სხვადასხვა დროის ნახატები — ჟანრული სცენები, პორტრეტები — კინოფირის დარად წარმოგვიდგენენ თანამედროვე ქალაქის ცხოვრების სახიერ სურათს, შეგვაგრძნობინებენ ჩვენ თვალწინ მიმდინარე ცვალებადი ეპოქის სუნთქვასა და რიტმს.

50-იანი წლების დასასრული და 60-იანი წლების დასაწყისი — „იმედებისა და ძიებების დრო, დრო სულიერ ღირსებათა აღდგენისა“ სახიერად აღიბეჭდა დ. ერისთავის ადრეულ პასტელურ ნამუშევრებში — ლირიზმითა და პაეროვნებით აღსავსე სურათებში „კლასობანა“, „საბავშვო ბაღი“ „იების გამყიდველი“, „გაზაფხულის დილა“. ამ პასტელებმა თითქოს შემოინახეს დ. ერისთავის თაობის — 50-60-იანი წლების ახალგაზრდობის სული, მისი უცნაური გულუბრყვილობა, ოცნების სიყვარული, ბავშვური აღტაცება და გაოცების უნარი. ეს თვისებები მხატვარს შემდგომი შემოქმედებითი მოღვაწეობის მანძილზეც გაჰყვა. თუმცა 70-იან წლებში მისი შავ-თეთრი გრაფიკული სერიები („მშრომელები“) უფრო ღრმა და ფიქრიანია, ჩნდება მისწრაფება გროტესკისადმი („მამაკაცთა გართობანი“), კეთილი იუმორით გამთბარი ლირიკული ქუჩის სცენა ადგილს უთმობს სატირას („ხინკალი“).

80-იან წლებში დ. ერისთავის შემოქმედებაში ჩნდება ბავშვობის მოგონებებით შთაგონებული სერია, რომელშიც მხატვარი დროთა კავშირის დაძებნას ცდილობს. ამავე დროის სულ უბრალო ყოფითი სურათი, რომელზეც ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ფონზე ხალხით გაჭედილი ავტობუსია გამოსახული, მნახველს უთუოდ ფილოსოფიური ფიქრისა და განსჯისათვის განაწყობს.

დ. ერისთავის ნამუშევრებს შორის ხშირად ჩნდება კომპოზიციები, რომლებშიც ხელოვანი პოეტური განზოგადებით გამოხატავს თავის წარმოდგენას ცხოვრებაზე, როგორც მარადიული სილამაზისა და სიჭაბუკის დღესასწაულზე. მხატვარი პერსონაჟთა სახასიათო ჟესტებსა და მოძრაობებზე ამახვილებს ყურადღებას, ამიტომაც იზიდავს მას ქალაქური ყოფის კალეიდოსკოპი, სპორტის, ფიზიკური შრომის სამყარო — სამყარო, რომლის არსი მოძრაობათა რიტმია.

მოძრაობის ესთეტიკა დ. ერისთავის შემოქმედების ერთ-ერთი განმსაზღვრელი თავისებურებაა. მხატვრის გამძაფრებული ინტერესი მოძრაობისადმი მისი შემოქმედების ლოგიკიდან გამომდინარეობს. დ. ერისთავის ნამუშევართა მთავარი თემა თანამედროვე ცხოვრებაა. მაგრამ თვით ცხოვრებაა დაუსრულებელი მოძრაობა; მხოლოდ დინამიკაში, მოქმედებაში ვლინდება მისი არსი. დ. ერისთავი ანალიტიკოსის თვალით აკვირდება ადამიანთა პოზებსა და ჟესტებს, მათი არსებობის პირობებით რომ არის ნაკარნახები.

სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა მოძრაობის პლასტიკის თავისებურებები უდევს საფუძვლად 70-იანი წლების დასაწყისის გრაფიკული ფურცლების სერიას „მშრომელები“, რომელშიც გაერთიანებულია „მეეზოვე“, „ხარაზი“, „მესაათე“, „ფეიქარი“, „მევიოლინე“. მხატვარმა შექმნა უბრალო მშრომელი ადამიანების პოეტურად მომხიბვლელი სახეები, სითბოთი და ლირიზმით გადმოსცა მათი ხასიათები. ამ ნამუშევრებში დიდ მნიშვნელობას იძენს საგნობრივი გარემო. ინტერიერი, სხვადასხვა დანიშნულების ნივთები განსაზღვრავენ თითოეული ფურცლის ფსიქოლოგიურ ფონს, იძლევიან იმ სიტუაციის, იმ სივრცის დახასიათებას, რომელშიც ცხოვრობენ გმირები.

გარკვეულ სახეცვლილებას განიცდის დ. ერისთავის ხელწერაც. ხაზოვან პლასტიკას მის სურათებში მოცულობითი პლასტიკა ცვლის. მხატვრის ყურადღების ცენტრში კვლავ მოძრაობის პრობლემა რჩება, მაგრამ უკვე არა კონკრეტული, რაიმე ხელობის, ეროვნების ან ასაკის ადამიანის მოძრაობისა, არამედ მოძრაობისა საერთოდ.

დ. ერისთავის შემოქმედების წარმოსახვით „კინოფირზე“ მსხვილი პლანით არიან წარმოდგენილნი თანამედროვე თბილისელები — სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის კონკრეტული მოქალაქეები (ჭ. ამირეჯიბი, მ. აბულაძე, მ. აბაზაძე, რ. ამაშუკელი, გ. გეგეჭკორი, ქ. კალაძე). თითოეული მათგანი მხატვრისათვის დამოუკიდებელი სამყაროა საკუთარი სულით, ხასიათით, განუმეორებელი პლასტიკით. ამიტომაც მის მიერ გავლებულ ყოველ შტრიხს, სახასიათო ფორმას ღრმა მხატვრული გააზრების კვალი აჩნევია. თითოეულ მათგანში იგრძნობა მხატვრის სული, მისი შთაგონება. მოსკოვში ყრილობისადმი მიძღვნილ დიდ გამოფენაზე წარმოდგენილია დ. ერისთავის შრომისა და ომის ვეტერანთა პორტრეტების სერია.







დ. ერისთავი ბევრს მუშაობს კინოში, როგორც კინომხატვარი. ო. იოსელიანის („გიორგობისთვე“, „იყო შაშვი მგალობელი“, „მთვარის ფავორიტები“), ე. შენგელაიას („არაჩვეულებრივი გამოფენა“), მ. კოკოჩაშვილის („გზა მშვიდობისა, ჯაყო!“, „მწვერვალი“), თ. აბულაძის („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“) და სხვათა ფილმებში მან შექმნა საოცრად მეტყველი ნივთიერი გარემო, რომელიც ფსიქოლოგიური სიზუსტით ახასიათებს პერსონაჟებს. პრესა აღნიშნავდა ამ ფილმების შესანიშნავ სახვით გადაწყვეტას, რაც პირველ ყოვლისა მხატვარ დ. ერისთავის დამსახურებაა.

ცალკე ფურცელია დ. ერისთავის შემოქმედებაში გრაფიკული სერია „ძველი თბილისი“, ქვით მოკირწყლული ვიწრო ქუჩები, ძველი თბილისური სახლები რიკულებიანი აივნებითა და ქვედა სართულებში სავაჭრო დუქნებით, ძველი თბილისის კოლორიტული სურათები, ბავშვობიდან რომ შემორჩა მის მეხსიერებას, ახლობელი და ძვირფასია „სოლოლაკში“ დაბადებული და გაზრდილი მხატვრისათვის. ეს თემა უკვე მასალას აწვდის მას მხატვრული ინტერპრეტაციისათვის.

დ. ერისთავი რესპუბლიკური, საკავშირო და საზღვარგარეთ მოწყობილი გამოფენების მუდმივი მონაწილეა.

ქართულ სახვით ხელოვნებაში დ. ერისთავმა შექმნა ყოფითი ჟანრის ერთგვარი ნაირსახეობა, რომელიც ასახავს თანამედროვე თბილისის ცხოვრებას, მის რიტმს. თბილისური ყოფის სრულიად უმნიშვნელო მოვლენებში პოულობს იგი ღრმა აზრსა და სილამაზეს. პოეტური შთაგონებით მოგვითხრობს იმას, რაც გვინახავს და განგვიცდია. ამიტომაც უწოდა მას ე. ევტუშენკომ „თბილისის ქუჩების მესაიდუმლე და პოეტი“.

მ. კერესელიძე.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

მეგობრობის ენით

ამდრის მიუხედავად კაფე-ბარ „ბერიკონში“ მაინც ბევრი ხალხი იყო. მიმდინარეობდა დასვენების საღამო, რომელიც ქურთი ახალგაზრდობის საბჭომ მოაწყო. იგი თბილისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტთან არის შექმნილი, აერთიანებს სტუდენტ და მუშა-ახალგაზრდობას. საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მეხუთე კურსის სტუდენტი ალიკ ხატაევი, ნაყოფიერად მუშაობს. ამის დამადასტურებელია აღნიშნული საღამო.

მოამზადეს საინტერესო საკონცერტო პროგრამა. გაისმოდა სიმღერები და ლექსები ქურთულ ენაზე და ასრულებდნენ ეროვნულ ცეკვებს.

ამ საღამოზე კომკავშირელებმა გაიცნეს პოეტი ჯარდო ასადი, საქართველოს სახტელერადიოს ქურთულ ენაზე რადიოგადაცემების რედაქტორი ბელა კასოევა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ლამარა ფაშაევა, ქურთ დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარე შირინ ბროევი და სხვები.

▲▲

გარდაქმნის ეკრანი

„აბრსკილი“ — ასე ეწოდება სოციალურ-პოლიტიკური ფილმის კლუბს, რომელიც ამოქმედდა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პოლიტგანათლების სახლთან. მისი მიზანია კინოპროპაგანდის საშუალებით ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი აზრის გარდაქმნას, ჩამოუყალიბოს ადამიანებს ახალი პოლიტიკური აზროვნება. ამ ფილმების განხილვაში, რომლებიც საზოგადოების ახლანდელი ცხოვრების აქტუალურ პრობლემებს ეხება, მონაწილეობდნენ ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერები, მწერლები და სპეციალისტები. ახალი კინოკლუბი დიდ დახმარებას გაუწევს მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემის პროპაგანდისტებს მსმენელებთან მუშაობაში.

▼▼

ქართველი რეჟისორი პარიზში

რუსთაველის სახელობის თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი რობერტ სტურუა გაფრინდა პარიზში, სადაც შეხვდება ვენის საოპერო თეატრის ხელმძღვანელობას. ამ თეატრის სცენაზე ქართველი რეჟისორი დადგამს მუსორგსკის ოპერა „ხოვანშჩინას“. მანამდე რ. სტურუამ სპექტაკლები დადგა საბერძნეთსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

▼▼

დაიღუპა სამი ბავშვი

ჩვენი რესპუბლიკის რაიონებში ბოლო წლებში დიდად პოპულარული გახდა თხევადი სათბობის ღუმელი. იგი ძალზე ბევრ ოჯახშია. სწორად ხდება თუ არა მისი ექსპლოატაცია, ამას არავინ აკონტროლებს. საჭირო კია, რადგან ბინის ასეთი გათბობა (ხშირად თვითნაკეთ ელექტრო და გაზის ღუმლებსაც ხმარობენ), ხშირად სავალალო შედეგით მთავრდება. აი, ერთი სამწუხარო ინფორმაცია.

ახალქალაქის რაიონის სოფელ ზაკვში საღამოს ცეცხლი გაუჩნდა საბჭოთა მეურნეობის მუშას ტიგრან აღაბალიანის სახლს. ხანძრის მიზეზი გახდა თხევადი სათბობით მომუშავე ღუმელის არასწორი ექსპლოატაცია. ხანძარმა სამი ბავშვი შეიწირა. თავად ოჯახის უფროსი საავადმყოფოში მიიყვანეს მძიმე მდგომარეობაში.

გუშინ რედაქცია დაუკავშირდა პარტიის ახალქალაქის რაიკომს, საიდანაც შეგვატყობინეს, რომ ტ. აღაბალიანი ვერტმფრენით თბილისში, რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანესო.

რუბრიკისათვის მასალები მოამზადა რ. ბასილაშვილმა.

სპორტი

კალათბურთი

გამარჯვება ბოლო ტყორცნამ მოიტანა

თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებისათვის მინსკის რტი რომ ტრადიციულად ძნელი მეტოქეა, ჩვენი გუნდის ქომაგებმა კარგად იციან. არადა, თამაშის კლასით არაფრით ჩამორჩებიან, უფრო მეტიც, დინამოელები მათზე გაცილებით უკეთ თამაშობენ.

გუშინ კაუნასში მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატის მესამე დღეს თბილისელთა მეტოქე სწორედ რტი იყო. დინამოელებს ამჯერად ძნელი, უაღრესად ძნელი ბრძოლა გადახდათ. პირველ ტაიმში თბილისელები მხოლოდ ერთხელ, ისიც დასაწყისში დაწინაურდნენ, ორჯერაც ანგარიში საყაიმო იყო (15:15, 17:17), დანარჩენ დროს კი ინიციატივას მინსკელები ფლობდნენ. იყო მომენტი, როცა ისინი თამაშს ათი ქულითაც (39:29) იგებდნენ. ამ უაღრესად ძნელ ვითარებაში, როცა ტაიმის დასრულებას ოთხი წუთი აკლდა, დინამოელებმა ტემპს მოუმატეს და ანგარიშიც გაათანაბრეს — 42:42. ამის შემდეგ გაჩნდა ვარაუდი, რომ თბილისელები იოლი გზით თუ არა, ღირსეული მეტოქეობით შეძლებენ ოდნავ მაინც დაწინაურებას. კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. მეორე ტაიმის პირველ ათ წუთში დინამოელთა თამაშში კვლავ უამრავმა შეცდომამ იჩინა თავი და მინსკელების აქტივი თორმეტი ქულით გამოიხატა. თუმცა შემდეგ „დინამომ“ კვლავ ლაღად დაიწყო თამაში, თანდათან შეძლო მდგომარეობის გამოსწორება და წინ გასვლაც — 73:72... და მაშინ, როცა მატჩის დამთავრებას ხუთი წამი აკლდა, მინსკელები კვლავ დაწინაურდნენ — 74:73. ამ უაღრესად დრამატულ ვითარებაში მოხდა ის, რასაც ყველაზე ნაკლებ ველოდით: ბურთის დაუფლებისთვის ხელჩართულ ბრძოლაში კოლიჩეევმა იმარჯვა და ბოლო წამზე მისი ტყორცნა ზუსტი გამოდგა. ამასობაში სირენაც გაისმა, რომელმაც დინამოელთა გამარჯვება აღნიშნა — 75:74.

ჯ. ენუქიძე,
ტელეფონით, „კომუნისტის“ სპეც. კორ.

ფარიკაობა

რა გვიჩვენა იუნიორთა პირველობამ?

ხვალ ქუთაისში იწყება საქართველოს ჩემპიონატი ფარიკაობაში. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა ის სპორტსმენი, რომლებიც ორიოდე დღის წინ თბილისში იუნიორთა საკავშირო პირველობაში ასპარეზობდნენ. ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში ბევრია იუნიორთა ასაკის მოფარიკავე, ამიტომ ცხადია, რომ იუნიორთა საკავშირო შეჯიბრებამ გვიჩვენა ჩვენი ფარიკაობის დღევანდელი მდგომარეობაც და ისიც, თუ ვისი იმედი უნდა გვქონდეს მომდევნო წლებში.

მართალია, ხმლით მოფარიკავეებმა მოლოდინის საწინააღმდეგოდ სუსტად იასპარეზეს, მაგრამ არ შეიძლება მათ აშკარა ჩავარდნაზე ვილაპარაკოთ; ჩვენი ახალგაზრდული გუნდის ლიდერებს — კახა ხარაძესა და არჩილ ლორთქიფანიძეს, რომლებიც ქვეყნის იუნიორთა ნაკრების კანდიდატებად ითვლებიან, სულ ერთი ნაბიჯი დააკლდათ ფინალამდე — მინიმალური ანგარიშით (9:10) წააგეს გადამწყვეტი ბრძოლები.

რაპირისტთა შეჯიბრებაში ოლეგ ჩერნაშოვის გამარჯვება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა. თბილისელმა ჭაბუკმა ბრწყინვალედ ჩაატარა შეხვედრები და დამსახურებულად მოიპოვა პირველი ადგილი. იგი იუნიორ მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრების უეჭველი კანდიდატია.

ერთი ფინალისტი გვყავდა გოგონათა შეჯიბრებაშიც — თბილისელი ქეთევან გაჩეჩილაძე, რომელმაც საბოლოოდ მე-7 ადგილი დაიკავა.

ძალზე სუსტად იასპარეზეს ჩვენმა დაშნით მოფარიკავეებმა. ერთადერთი, რომელმაც მეორე წრეში ე. ი. 36 საუკეთესო სპორტსმენს შორის გასვლა შეძლო, მერაბ აჭამელაშვილი გახლდათ. თუმცა აქ სპორტსმენთა შედეგი პროგნოზს არც დაცილებია, ჩვენს მწვრთნელებს არავითარი ილუზია არ ჰქონდათ დაშნით მოფარიკავეთა მიმართ. ერთი სიტყვით, თბილისში გამართულმა იუნიორთა საკავშირო პირველობამ ჩვენი ფარიკაობის არაერთი პრობლემა წარმოაჩინა.

უჭადრაკო სამის

წყალტუბოში პრეტენდენტთა ტურნირზე გუშინ მხოლოდ ორი შეხვედრა გაიმართა: ახმილოვსკაია-ლევიტინა — 1:0, იოსელიანი-ბრუსტმანი — 1:0. გაფრინდაშვილისა და ალექსანდრიას ავადმყოფობის გამო არ შედგა მათი პარტიები არახამიასთან და ლიტინსკაიასთან.

რედაქტორი
ნ. ფოფხაძე.

ტელევიზია — ხუთშაბათი, 11 თებერვალი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — დოკუმენტური ტელეფილმი. 9.55 — გამარჯობა, მუსიკავ! 10.55 — აშკარა — დაუჯერებელი. 11.55 და 16.30 — ახალი ამბები. 16.45 — მოცარტი. ექვსი სონატა ორი ვიოლინოს, ჩელოსა და ორგანისათვის. 17.20 — გარდაქმნა: გამოცდილება და პრობლემები. 18.15 — ახალი ამბები. 18.20 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა". 19.05 — პოეზიის წუთები. 19.10 — ეკონომიკური ცოდნის საფუძვლები. ჟურნალი „ტელეეკო", 19.40 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — „წყნარი დონი". III სერია. 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — ჩვენთან ოსტანკინოში. 0.20 — დღეს მსოფლიოში. 0.30 — მუსიკალური პროგრამა.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 და 12.30 — სასწავლო პროგრამა. სამეცნიერო პოპულარული ფილმები. 9.35 და 10.35 — ლევ ტოლსტოი. „მეჯლისის შემდეგ". VII კლასი. 10.05 და 12.00 — ესპანური ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. ურთიერთობის კულტურა. 11.55 და 12.40 — ბიოლოგია. VII კლასი. 13.05 — „გამოძიება დაიწყეთ". „ცილისწამება". II სერია. 14.15 — დოკუმენტური ტელეფილმები „ბუნებასთან თანხმობით" და „დიდია თუ არა წყნარი ოკეანე?". 15.05 — „არალეგალური საოლქო კომიტეტი მოქმედებს". III სერია. 16.25 და 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — რიტმული ტანვარჯიში. 19.45 — სოფლის საათი. 20.45 — კინოჟურნალი „შორეული აღმოსავლეთი". 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!" 21.15 — კალათბურთი. „ჟალგირის"-ცსკა. 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — უცხოური ფილმის ეკრანი. უნგრული მხატვრული ფილმი „წინდაუხედავი ქორწინება". 0.10 — ახალი ამბები.

თბილისი

პირველი პროგრამა. 15.05 — „დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე". 15.15 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.25 — აბიტურიენტთათვის. ბიოლოგია. 15.55 — დოკუმენტური ფილმი „სერგი ზალიგინი". 16.25 — მასწავლებლის საათი. ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები. 16.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. „როვესნიკი". 17.15 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 17.45 — დოკუმენტური ფილმები „აქ კირილოვი იყო" და „კვალი ქარზე". 18.15 — „წარდგენილია საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიაზე". (გადაცემა მეხუთე). 18.45 — „ხალხის რჩეულნი". 19.20 — წერილის დღე. 19.25 — „თოლია" სკოლაში". 20.00 — მოამბე. 20.35 — „სტუდია „დიალოგი". 21.35 — „სატელევიზიო კომედიური ფილმების ეკრანი". ქართული მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბედის უკუღმართობა". 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გარდაქმნის პროჟექტორი" (მ.). 22.50 — წერილის დღე. 22.55 — კალათბურთი. თბილისის „დინამო" — მინსკის რტი. 23.30 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი.

მეორე პროგრამა. 17.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ძველი მეგობრები". II სერია. 18.40 — მოსწავლეთათვის. სსრ კავშირის ისტორია. 19.25 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ჯოჯოხეთის კარიბჭესთან". 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „შიშის წამალი".

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 10655 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14

ეროვნული ბიბლიოთეკა